ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

22 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა"
+
ეს სამყარო
ზვიგენები
10 ლარი




ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი, 2013 №252 (6253) ფასი: 30 თეთრი

# თორნიკე შარაშენიძე: „ღარიბაშვილი ყველაზე სერიოზული კანდიდატია პრემიერობისთვის"



გვ.2

არჩევნების დროს რომ ექსცესები თავიდან იყოს აცილებული, ეს დიდწილად დამოკიდებულია შსს-ს ეფექტურ მუშაობაზე, შს მინისტრი შეძლებს ამის უზრუნველყოფას.

## შალვა ხაჭაპურიძე: „ქვანიას საქმე არჩევნების შემდეგ გაიხსნება"

გვ.4



რატომ დუმს გიორგი ბარამიძე

## „მარგველაშვილის და ბურჯანაძის ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო დასკვნა უნდა დაიდოს!"



გვ.3

პრეზიდენტობის რომელ კანდიდატს აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები





## სამეგრელო, შავი პიარი, სექსუალური და რელიგიური უმცირესობები – ჯერემი როსნერის რჩევები დავით ბაქრაძისთვის და არა მარტო მისთვის!

გვ.5

## ირაკლი ღარიბაშვილი: „შსს-მ აუცილებელის გარდა, ყველა ე.წ. დახურული საარჩევნო უბანი გააუქმა"

გვ.5

## ნინო ჭანიშვილი: „სააკაშვილზე ნაკლები არ ვარ, ათი ენა ვიცი"

გვ.2





## „ივანიშვილი მემკვიდრედ სუსტ პოლიტიკოსს დაასახელებს"

გვ.4



## ბიძინა ივანიშვილი: „გაოცებული ვარ რუსეთის პოზიციით"

გვ.6

ISSN 1987-9385

**3** „ხურჩის ტერაქტის მსგავსი სცენარები გასულ წლებში მრავლად იყო"

**7** ირაკლი ალასანია: საქართველო აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი, გადაწყვეტილება ნატო-ს პრაქტიკულად მიღებული აქვს

**8** მიხეილ სააკაშვილი: „არავის უნდა მივცეთ საშუალება, რომ საქართველო შიგნიდან დაასუსტოს"

**7** „ცე" ჰეპატიტის მკურნალობის ხარჯები განახევრდება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თორნიკე შარაშენიძე: „ღარიბაშვილი ყველაზე სერიოზული კანდიდატია პრემიერობისთვის“

თამარ ნინიძე

**„პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში ექსპერტმა თორნიკე შარაშენიძემ გამორიცხა გაყალბების ის მასშტაბები, როგორიც იყო საპარლამენტო არჩევნების დროს, ასევე ვერ ხედავს იმის საფუძველს, რომ ქუჩაში ბევრი ხალხი გამოვიდეს გაყალბების გასაპროტესტებლად, მხოლოდ მაშინ გამოდის ხალხი ქუჩაში, თუ ხელისუფლების წინააღმდეგ არის დაგროვილი დიდი აგრესია და დაინახავს ლიდერს, რომელსაც უნდა წაჰყვეს. შარაშენიძე ამ ეტაპზე ვერ ხედავს ხალხში დაგროვილ აგრესიას ამ ხელისუფლების მიმართ, ეს უფრო პოლიტიკური თამაშია, რომ წაგებულმა გაამართლოს თავისი მარცხი.**




შარაშენიძეს მიაჩნია, ივანიშვილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მარგველაშვილი 70%-ს აიღებს, ესეც თამაშია, რომ მერე თქვას, თუ აიღებს 57 ან 59%-ს, მე მეტს ველოდიო. ექსპერტი ვარაუდობს, რომ პირველივე ტურში მარგველაშვილი მოიგებს, მას უჭირს თქმა 70% რეალური პროცენტია თუ არა. აქ მთავარია, მოხდეს ამომრჩევლის მობილიზება. ექსპერტს მოეწონა მარგველაშვილის ბოლო ორი საჯარო გამოსვლა. შარაშენიძის თქმით, ეს იყო სერიოზული, შემდგარი პოლიტიკოსის გამოსვლა.

ბურჯანაძესა და ბაქრაძეს რაც შეეხებათ, აქაც საინტერესოა, ვინ უფრო მეტად მოახდენს თავისი მხარდამჭერების მობილიზებას, მისი აზრით, ამის მეტი შანსი აქვს ნაციონალურ მოძრაობას, მას აქვს მხარდამჭერთა გარანტირებული 15%, ბურჯანაძის ამომრჩეველი ის ხალხია, ვინც უფრო ინტენსიური ფორმით ითხოვს სამართლიანობის აღდგენას, დაკავებებს, და პასუხისგებაში მიცემას. ყველა გამოკვლევით ბაქრაძე მეორე ადგილზე გავა. შარაშენიძე ეჭვობს, რომ ბურჯანაძემ შეძლოს ხალხის ქუჩაში გამოყვანა, მით უმეტეს, დიდი რაოდენობით. ამის საფუძველს ახლა ვერ ხედავს.

არჩევნების დროს რომ ექსცესები თავიდან იყოს აცილებული, ეს დიდწილად დამოკიდებულია შსს-ს ეფექტურ მუშაობაზე, ღარიბაშვილი შეძლებს ამის უზრუნველყოფას. ღარიბაშვილის უწყებამ კარგად იცის, რა შეიძლება მოხდეს მიტინგზე, ამის დიდი გამოცდილება პოლიციას აქვს, ივანიშვილიც აცხადებს, რომ ღარიბაშვილი ყველაზე წარმატებული მინისტრია, შარაშენიძე ფიქრობს, რომ ის სერიოზული კანდიდატია პრემიერობისთვის, ერთი „მაგრამ“ არსებობს, ამ ეტაპზე ღარიბაშვილი საჭიროა, რომ დარჩეს შს მინისტრად, რათა უზრუნველყოს წესრიგი ქვეყანაში, თუ მისი კონტროლი ამ თვალსაზრისით შენარჩუნდება სამინისტროზე, მაშინ მისი გაპრემიერება გამართლებული იქნება, მაგრამ სხვა შემთხვევაში, სჯობს დარჩეს ამ პოსტზე. „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება კონტროლი დაკარგოს ამ სამინისტროზე ღარიბაშვილის გაპრემიერებით. მით უმეტეს, ამის მაგალითი იყო, როცა მერაბიშვილი პრემიერად გადავიდა, შსს-ზე მისი გავლენა შესუსტდა.

საარჩევნო კამპანია და საარჩევნო რგოლები, რომელიც გადის ტელევიიზით, ამაზე შარაშენიძე ამბობს, რომ ამის დიდი გამოცდილება ნაციონალებს ჰქონდათ, მარგველაშვილს თავიდან ცოტა გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს გამოასწორა ეს შეცდომები. მას კარგი შანსი აქვს, ყველაფერი დაამთავროს პირველივე ტურში. შავ პიარს ვერავინ გაექცევა.

— გვახსოვს, წინა არჩევნების დროს შავი პიარი რაოდენ დიდ როლს თამაშობდა, ახლა მისი დოზა გაცილებით ნაკლებია, თუ საზოგადოება ისეა განწყობილი, რომ მხარი დაუჭიროს მარგველაშვილს, მასზე ვერანაირი შავი პიარი გადამწყვეტ როლს ვერ შეასრულებს, — მიაჩნია შარაშენიძეს.

# ნინო ჭანიშვილი: „საააკაშვილზე ნაკლები არ ვარ, ათი ენა ვიცი“

თამარ ნინიძე



საპრეზიდენტო კანდიდატმა ნინო ჭანიშვილმა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ის არის ახალი ტიპის პოლიტიკური ლიდერი, რომელიც დემაგოგიაზე არ მუშაობს. საინიციატივო ჯგუფის „მომავალი ჩვენია“ საპრეზიდენტო კანდიდატი ჭანიშვილი აცხადებს, რომ ამ არჩევნებიდან ის პოლიტიკურ კარიერას იწყებს, ის მოუწოდებს ამომრჩეველს, სწორად შეაფასოს თითოეული კანდიდატის თითოეული დაპირება, მთავრობა ხალხის მიერ დანიშნულია და პირველივე დღიდან გამარჯვებულ კანდიდატს დაპირებების შესრულება უნდა მოსთხოვოს.

ნინო ჭანიშვილი ამბობს, რომ არის ბიზნესქალბატონი, რომელიც ამომრჩეველს დასაქმებას ჰპირდება, იპოთეკარებს, დევნილებს, ნარკომანიით დაავადებულთა ოჯახებს ჰპირდება დახმარებას ინდივიდუალურად, მისი თქმით, აქვს პროგრამა, რომელიც ბევრ პრობლემას მოხსნის. ჭანიშვილს მიაჩნია, რომ არჩევნების გაყალბების უამრავი საშუალებაა, გაყალბება კი 27 ოქტომბრამდე ბევრად ადრე დაიწყო, როცა კანდიდატები დაჰყვეს კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სუბიექტებად და მას, როგორც არაკვალიფიციურ სუბიექტს, ტელევიზიით გამოსვლა შეზღუდული აქვს, აქედან გამომდინარე მიაჩნია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატები არათანაბარ პირობებში არიან და ფიქრობს, რომ ეს არის გაყალბების ერთ-ერთი მექანიზმი. ბიულეტენებს რაც შეეხება, ჭანიშვილი აცხადებს, რომ დაიცავს მისი მხარდამჭერების ხმებს.

— საერთაშორისო თანამეგობრობას ვთხოვ, რომ დაიცვას ჩემი ხმები, ძალიან ბევრი მხარდამჭერი გვყავს, ბიულეტენებს დაცვა სჭირდება. მე ეკონომიკური განვითარების მომხრე ვარ, ბრძოლის ის იარაღი მაქვს, რომელიც სხვას არა აქვს, მე შევქმნი იმას, რასაც სხვები არ შექმნიან. მუშტით ბრძოლას არ ვაპირებ, გონებით ვიბრძოლოთ, — აცხადებს ჭანიშვილი.

ჭანიშვილს აქვს ბიზნესასოციაცია, რომელშიც, მისი თქმით, გაწევრიანებული არიან 87 ქვეყნის ბიზნესმენები, სწორედ ამ ბიზნესმენების მხარდაჭერით აპირებს ის საქართველოს წინაშე არსებული საგარეო პრობლემების მოგვარებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ჩათვლით. მას მიაჩნია, რომ საქართველო უნდა გახდეს რეგიონში ძლიერი მოთამაშე, ცნობადი და ანგარიშგასაწევი სახელმწიფო, ეს იქნება ტერიტორიების დაბრუნების წინაპირობა, ასევე თად კი საქართველოს მისი მხარდამჭერი ბიზნესმენები აქცევენ.

— ივანიშვილის განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ დესტრუქციულია, ეს აბნევს მოსახლეობას, ბიზნესმენებს, ინვესტორებს, პრემიერის დანიშვნა გაუგებარი ტერმინია, ეს სამეფო დინასტია ხომ არ არის, — ამბობს ჭანიშვილი.

საპრეზიდენტო კანდიდატი ამბობს, რომ აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, გარდა ამისა, აქვს კიდევ 25 პროექტი, რომელიც ეხება სხვადასხვა მიმართულებას.

— ბოდიშს გიხდით ემოციური გამოსვლისთვის, კინაღამ მარსელიოზა ვიმღერე, ისე ფრანგულიც ვიცი, სააკაშვილზე ნაკლები არ ვარ, ათი ენა ვიცი. მაქვს ფსიქოლოგის, იურისტის და ეკონომისტის დიპლომები, — განაცხადა ბოლოს ნინო ჭანიშვილმა.



# თეა წულუკიანი: „საარჩევნო სიები ჯერ კიდევ დაუხვეწავია“

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, საარჩევნო სიები ჯერ კიდევ დაუხვეწავია.

„ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობდით ეს 12 თვე. რამდენიმე ათეულ ათასობით ადამიანი, რომლებიც დარეგისტრირებული იყვნენ არარსებულ მისამართზე, სერვისების სააგენტომ მოხსნა რეგისტრაციიდან და დღეს ისინი ცესკო-ს სიებში აღარ ფიგურირებენ. თუმცა, რჩება დაუზუსტებელი მონაცემები და ეს არის განგრძობადი პროცესი. პრობლემებს საარჩევნო სიებთან დაკავშირებით 12 თვეში ვერ მოვაგვარებდით. ათეულ ათასობით ადამიანი გასწორდა სიებში. ჩემი თანამშრომლებიც კი დადიოდნენ კარდაკარ და იმ ოჯახებში, სადაც ფიგურირებდა რვა ადამიანზე მეტი სრულწლოვანი, რაც მოგვეჩვენა რომ საეჭვო იყო, ვამოწმებდით. შესაბამისად, ასეთი ადამიანები მოიხსნა საარჩევნო სიიდან", - განაცხადა წულუკიანმა.

მედიანიუსი

# არჩევნებს ენ-დი-აის სადამკვირვებლო მისია დააკვირდება

თბილისში 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაციას ხელმძღვანელობენ: აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი კონექტიკუტის შტატიდან და ენ-დი-აის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი სემ გეჯდენსონი, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი და ყოფილი ელჩი პერ ეკლუნდი შვედეთიდან და საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი კენეთ იალოვიცი.

ენ-დი-აის სადამკვირვებლო დელეგაციის მიზანი საქართველოში დემოკრატიული პროცესებისადმი საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის დემონსტრირებაა.

თბილისში დელეგაციის წევრები საპრეზიდენტო კანდიდატებს, მთავრობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებს, ასევე პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდებიან. დელეგაცია ასევე მხედველობაში მიიღებს წინა მისიების დაკვირვებებს.

თბილისში ჩატარებული საორიენტაციო შეხვედრების შემდეგ დამკვირვებლები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გაემგზავრებიან, სადაც ისინი საარჩევნო გარემოს შესაფასებლად ადგილობრივი საარჩევნო ადმინისტრაციის, პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებს, ასევე ადგილობრივ დამკვირვებლებს შეხვდებიან.

მედიანიუსი

# არასამთავრობოები დვანში საპროტესტო აქციას გამართავენ

დღეს. 11:00 საათზე, სოფელ დვანში ოკუპაციის წინააღმდეგ, სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს დელეგაციის გამგზავრების პროტესტის ნიშნად და საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის მიმართვის გასავრცელებლად არასამთავრობოთა კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივა“ -ს წევრები, მსახიობები და სტუდენტები ჩავლენ.

„24 ოქტომბერი გაერთიანებული ერების დღეა. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანი კი მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაა. სწორედ ამიტომ, დვანში კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მსოფლიოს თანამეგობრობას, გვერდში დაგვიდგეს ჩვენი ტერიტორიის დეოკუპაციის, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საკითხში“, — ნათქვამია კოალიციის განცხადებაში..

ახალგაზრდები, საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებთან ერთად ოკუპაციის ზოლთან მიიტანენ ტრაფარეტს წარწერით „რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია,“ რომელსაც დაამაგრებენ ე.წ. საზღვართან.

მედიანიუსი

# ქვემო ქართლის რეგიონში საპატრულო პოლიციის რებრენდინგი განხორციელდა

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოს გუშინ ახალი საპატრულო მანქანები გადაეცა. აღნიშნულ ღონისძიებას რუსთავში შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

მინისტრის თქმით, საპატრულო პოლიციის რებრენდინგის პირველი ეტაპი ქვემო ქართლის რეგიონით დასრულდა და ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა რეფორმის მეორე ეტაპის განსახორციელებლად. ქვეყნის მასშტაბით ჩამოყალიბდება

საპატრულო პოლიციის ახალი რეგიონალური დანაყოფები, რომლებიც განთავსდება ახალ, კომფორტულ და თანამედროვე შენობებში; დაიხვეწება საპატრულო პოლიციის მართვის სისტემა.

უახლოეს დღეებში გურიის რეგიონის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო შეიქმნება. მინისტრი სიტყვით გამოსვლისას ასევე საპრეზიდენტო არჩევნების თემას შეეხო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გასული წლის მთავარი მიღწევა არის თავისუფალი არჩევანის უფლება და მისი თქმით, თუ ვინმე შეეცდება ამ უფლების დარღვევას, კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება. მინისტრმა მოახლოვებულ საპრეზიდენტო

არჩევნების მნიშვნელობაზე ისაუბრა და თანამშრომლებს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდა.

ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტოპარკი მთლიანად განახლდა და „შკოდას“ მარკის 21 და „ტოიოტა ჰაილუქსი“-ს („პიკაპის“ ტიპის) 3 ახალი ავტომობილით შეივსო. ასევე, გაფართოვდა ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალი და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ახლა უკვე „ტოიოტა ჰაილუქსი“-ს ახალი ავტომანქანებით დაიწყეს პატრულირება წალკის რაიონის მიმართულებით.

გარდა ამისა, რეგიონში პატრულ-ინსპექტორებს გადაეცათ — სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილი პოლიციის ახალი ფორმები, ალკოტესტები (პრომილეს საზომი და ბეჭდვითი ფუნქციით) და სხვა.

საპატრულო პოლიციის რებრენდინგი მიმდინარე წლის მაისში თბილისში დაიწყო და შემდეგ ქვეყნის რვავე რეგიონში წარმატებით განხორციელდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მარგველაშვილის და ბურჯანაძის ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო დასკვნა უნდა დაიდოს!“

## პრეზიდენტობის რომელ კანდიდატს აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები

შორენა მარსაგიშვილი

**ჩვენებური პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი სერიოზულად რომ აფრენს, ამაში ერი და ბერი არაერთხელ დარწმუნდა. ურიკინე პოლიტიკოსები სხვა ქვეყნებშიც ჰყავთ, მარტო ვლადიმერ ჟირინოვსკი რად ღირს. თუმცა ჩვენთან ამნაირი პოლიტიკოსების ნამდვილი შემოტევაა. ოროლობეებში და ქუჩებში ასეთ ხალხს კიდევ რა უჭირს, მაგრამ ჩვენში ამნაირები სულ ხელისუფლებისკენ იწევენ და ხშირად აღწევენ კიდეც მიზანს. ალბათ ამიტომაც არის, ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას არაფერი რომ არ ეშველა.**

ქვეყანა ჯანზე რომ ვერ არის, ამაზე პრეზიდენტობის მსურველთა რაოდენობაც მეტყველებს. ამ პოსტის დასაკავებლად იმდენი კაცი წვალობს, ძილის წინ ცხვრების ნაცვლად თავისუფლად შეიძლება მათი დათვლა. მათი ნახევარი ჩამოთვლილიც კი არ დაგჭირდებათ რომ რული მოგეკიდებათ.

პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი კარგა ხანია წუხს ურიკინე პოლიტიკოსების სიმრავლის გამო. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მან პრეზიდენტობის კანდიდატების სამედიცინო შემოწმება მოითხოვა. ამტკიცებდა, სააკაშვილი მთლად კარგად არ არისო. 2004 წელს ამას სააკაშვილს ვინ აკადრებდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა თითქმის მთელი საქართველო მიშას მზეს ფიცულობდა. თემურ შაშიაშვილის აზრით, პრეზიდენტობის სამედიცინო შემოწმება ახლაც აუცილებელია.



— ტერმინი „არ ვიცოდი“, „რომ მცოდნოდა “ — მსგავსი სახის არაერთი გამოქმა პოლიტიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის წარსულის შეცდომების გამართლებად იქცა. ერთი შეხედვით შესაძლოა ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირდა დემოკრატიული ქვეყნებისათვის ეს პრობლემა დასრულებულია, რადგან მსგავსი პოლიტიკოსების მიმართ ხალხის პატივისცემა პრაქტიკულად განულებულია, მაგრამ საქართველოში სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. დავაკვირდეთ, ვინც მიხეილ სააკაშვილი გამარჯვების კვარცხლბეკზე აიყვანა, ვინც გააპრეზიდენტა, საკუთარ ქმედებას დღეს იმით ამართლებენ, რომ თურმე არ იცოდნენ, საბჭოთა კაგებეს დაქვემდებარების სასაზღვრო ჯარებში რომ მსახურობდა, დასავლეთის მასონური წრეების და ათასგვარი ჯურის სექტების პროტეჟეც რომ გახდა შემდგომში, ამერიკის შეერთებულ შტატებში სომხური ლობისტური ფირმის „პეტერსონ ბელქნაფის“ ინტერესებს რომ იცავდა. თურმე არც ის იცოდნენ, რომ მათგან მხარდაჭერილ მომავალ პრეზიდენტს ნევროლოგიური ავადმყოფობა ჰქონდა გადატანილი მძიმე შედეგებით, რაზეც შემდგომ მსოფლიოს ცნობილი ნევროლოგების დასკვნაც დაიწერა და ბევრი სხვა რამ „არ იცოდნენ“.

სააკაშვილთან დაკავშირებით რომ ტყუოდნენ, ფაქტია, რადგან ყველაფერი გამოქვეყნდა. ამის თაობაზე უამრავი ადამიანი წერდა. მეც ბევრი ვთქვი — 1997 წლიდან მას არასერიოზულ, გაუწონასწორებელ და ქვეყნისთვის საშიშ პიროვნებად ვთვლიდი, დოკუმენტალურად ვასაბუთებდი.

2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ კატეგორიულად მოვითხოვე, რომ პრეზიდენტობის კანდიდატების სამედიცინო დასკვნა გამოქვეყნებულიყო. ამ დროს მე, როგორც პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა თხოვნით მივმართე ყველა სამედიცინო დაწესებულებას, რომ თუ ჩემთან დაკავშირებით რაიმე ჰქონდათ, გამოექვეყნებინათ. ანალოგიური არ გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა. ექიმებმაც არქივებში კარგად გადაინახეს მისი ავადმყოფობის ისტორია. ქვეყანა კი დაღუპეს, — იხსენებს წარსულს პარტია „თეთრების“ ლიდერი.

სააკაშვილი თითქმის წასულია. შაშიაშვილი კი კვლავ ითხოვს სამედიცინო დასკვნების გამოქვეყნებას. ამჯერად მას 2 პირის ჯანმრთელობის



მდგომარეობა აინტერესებს. თუმცა, არ იქნებოდა ურიგო ყველა კანდიდატის შესახებ გამოქვეყნებულიყო ასეთი დასკვნა.

— დღეს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, კვლავ პრინციპულად ვაყენებ ამ საკითხს. გამოქვეყნდეს პრეზიდენტობის კანდიდატების, განსაკუთრებით კი მთავარი პრეტენდენტების, მარგველაშვილისა და ბურჯანაძის ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო დასკვნა.

ხალხში ცუდი ინფორმაცია ვრცელდება. ნევროლოგებმა ბევრი იციან, სამწუხაროდ დუმან. არა მგონია, ეს ქვეყნისთვის კარგი იყოს.

მინდა ვიფიქრო, რომ ამ პოზიციას გაიზიარებენ ბატონი გიორგი მარგველაშვილი და ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები. საარჩევნო კომისია მიმართავს შესაბამის სამედიცინო უწყებებს რათა საჯარო გახდეს მოსახლეობისთვის პრეზიდენტობის კანდიდატების ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ამ შემთხვევაში გამოვხატავ არა მარტო „თეთრების“, არამედ ყველა იმ ადამიანის განწყობას, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს უმაღლეს თანამდებობები უნდა ეკავოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ნერვებთან ყველაფერი წესრიგში აქვთ და არც აზროვნება აქვთ ავადმყოფური. თუ მეორეს გარკვევა ძნელია, პირველის პრობლემა ნამდვლად არ არსებობს, თუ ამის პოლიტიკური ნება აქვს „ქართულ ოცნებას“.

ამას დღეს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას თითქმის იგივე პოლიტიკური ძალები, პოლიტიკოსები, იგივე ინსტიტუტები („თავისუფლების ინსტიტუტი“, „სოროსის ფონდი“, ენ-დი-აი) უწყობენ ხელს, იგივე ადამიანები, განსაკუთრებით ინტელიგენციიდან ტრიალებენ მის ირგვლივ, ვინც თავის დროზე სააკაშვილის გაპრეზიდენტება მოახდინეს.

შეცდნენ, ბოდიშს არ იხდიან, უტეხად ლანძღავენ განსხვავებული პოზიციის მქონეთ. ეს მათი ნება და პოლიტიკური კულტურაა. მაგრამ დღესაც ცხრა წლის წინანდელი შეცდომა კვლავ რომ არ გაიმეორონ, ხოლო შემდეგ თავი გაიმართლონ, არ ვიცოდითო, გადავდგათ ეს ჯანსაღი პოლიტიკური ნაბიჯი, რითაც ან დადასტურდება, ან უარყოფილი იქნება, რა მითქმა-მოთქმაც ხალხშია და, რაც მთავარია, ერთხელ და სამუდამოდ დავამკვიდროთ ჩვენს ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე სამედიცინო დასკვნის გამოქვეყნება, როგორც ეს ხდება ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, — ამბობს თემურ შაშიაშვილი.

რომელიც დასკვნის სახით თუ როგორი გამოხმაურება მოჰყვება ამ განცხადებას, სპეციალური ბრიფნგის გამართვას ხვალ აპირებს.

არჩევნებამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი. საეჭვოა ახლა ასეთი დასკვნები ვინმემ გამოაქვეყნოს. ისე კი სამომავლოდ ამ ტრადიციის დანერგვა აუცილებელია.

# „ხურჩის ტერაქტის მსგავსი სცენარები გასულ წლებში მრავლად იყო“




შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ ე.წ. ხურჩის ინციდენტში ბრალდებულ შსს-ს ყოფილ 2 მაღალჩინოსანს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. დაკავებული რომან შამათავა და მალხაზ მურღულია თავს დამნაშავედ არ მიიჩნევენ და პროტესტის ნიშნად შიმშილობენ.**

2008 წლის 21 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შსს-ს ორი ყოფილი მაღალჩინოსანი რამდენიმე დღის წინ დააკავეს. შსს-ს განმარტებით, ტერორისტული აქტის მოწყობის ბრალდებით დაკავებული არიან კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალურ ღონისძიებათა ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი მალხაზ მურღულია.

გამოძიების ინფორმაციით, სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განსახორციელებლად ჩასაფრებულმა რომან შამათავამ, მალხაზ მურღულიამ და მათმა თანამზრახველებმა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ურთიერთშორის ნაწარმოები მრავალჯერადი გასროლით მშვიდობიან მოსახლეობაში გამოიწვიეს პანიკა, აგრეთვე, მალხაზ მურღულიამ „ერ პე გეს“ ტიპის ყუმბართმტყორცნიდან განხორციელებული ორი გასროლით ააფეთქა ხალხის გადასაყვანად მობილიზებული ავტობუსები.

აფეთქების შედეგად სრულად განადგურდა ორივე სატრანსპორტო საშუალება, ხოლო სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო მოქალაქე ნანი ქარდავამ.

ტერაქტის მოწყობის ბრალდებით დაკავებულები გუშინ მათმა ადვოკატებმა მოინახულეს. დაკავებულების და ადვოკატების შეხვედრამ 3 საათზე მეტ ხანს გასტანა. შამათავა და მურღულია თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ.

— მალხაზ მურღულიას ბრალი სსკ 323-ე მუხლის მე-3 ნაწილით წაუყენეს, ანუ ტერორიტული აქტის ჩადენაში. იგი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს წარდგენილ ბრალდებაში. სამარცხვინოდაც კი მიაჩნია ამგვარი ბრალის წაყენება და რა თქმა უნდა, ის უდანაშაულობის დასამტკიცებლად ბოლომდე იბრძოლებს, — განუცხადა ჟურნალისტებს მურღულიას ადვოკატმა დარეჯან გელაშვილმა.

რომან შამათავას ინტერესებს ადვოკატი გოგა ონიანი იცავს. ის თავისი კლიენტის უდანაშაულობაში ღრმად არის დარწმუნებული.

— ბრალი ტერორიზმის მუხლით წაუყენეს. ხელისუფლება საზოგადოებას ალბათ, ველარაფრით გააკვირვებს. ერთადერთი რამ დარჩა, დიდი შანსია, რომ საბოლოო ჯამში, გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევაც ქართულ მხარეს დააბრალონ. ცოტა სერიოზულად თუ შევხედავთ, ეს არის აბსურდი. დაცვის მხარისთვის ამ წუთებამდე მტკიცებულებები არ გადმოუციათ იქედან გამომდინარე, რომ აცხადებენ, მზად არ არიან. თუ არ იყვნენ, მაშინ ამ ადამიანებისთვის ბრალიც არ უნდა წაეყენებინათ. მათი პოზიციაა, რომ საკუთარ სიმართლეს აუცილებლად დაამტკიცებენ. მათ უვადო შიმშილობა აქვთ დაწყებული, — განაცხადა რომან შამათავას ადვოკატმა გოგა ონიანმა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 2008 წელს სოფელ ხურჩაში მომხდარ ინციდენტს, იმდროინდელი მთავრობის მიერ, საკუთარი ხალხის მიმართ განხორციელებულ შეკვეთილ ტერაქტს უწოდებს.

მისი თქმით, ამის მიზანი საზოგადოებაში პანიკის გამოწვევა და ხალხის დაშინება იყო. როგორც მინისტრი აცხადებს, აღნიშნული მაგალითი მეტყველებს იმაზე, თუ რა მეთოდებით ებრძოდა ყოფილი ხელისუფლება საკუთარ ხალხს. ღარიბაშვილი არ გამორიცხავს, რომ გამოძიების პროცესში კიდევ ბევრი ახალი დეტალი გამოიკვეთოს.

— საზოგადოებამ ნახა, როგორი მეთოდებით ებრძოდა საკუთარ ხალხს წინა ხელისუფლება. გამოძიების პროცესშივე გამოიკვეთა, რომ ეს იყო შეკვეთილი ტერორისტული აქტი, განხორციელებული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, იმისთვის, რომ მომხდარიყო მათი დაშინება, გამოეწვიათ პანიკა და ა.შ. ეს სპექტაკლები დამთავრდა და არასდროს აღარ განმეორდება, — აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი არ გამორიცხავს, რომ ხურჩაში 2008 წლის 21 მაისს განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებით მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

— გამოძიების პირველადი ვერსიით ტერაქტი სავარაუდოდ, სწორედ მაღალი თანამდებობის პირების მიერ იყო ორგანიზებული. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს, ის ინფორმაცია, რაც შსს-მ გაავრცელა, არის პირველადი და ის მიუთითებს საგამოძიებო ორგანოს ვარაუდზე, რომ ტერაქტი იქნა ორგანიზებული სავარაუდოდ, მაღალი თანამდებობის პირების მიერ. დეტალები, თუ ვის მიერ, როგორ და რანაირად, მომავალი გვიჩვენებს, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში არჩილ კბილაშვილმა.

ვიცე-პრემიერი კალაძე დარწმუნებულია, რომ ხურჩის მსგავსი დადგმული სცენარები გასულ წლებში ბევრი იყო. მისი განცხადებით, ხურჩაში ჩატარებული სპეცოპერაცია დადგმული ტერაქტი იყო, რომელიც ძალიან ბევრ კითხვას ბადებს.

— ამ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვა არსებობს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს დადგმული ტერაქტი იყო და თუ რისთვის და რატომ, ამას გამოძიება დაადგენს. ამასთან, მე დარწმუნებული ვარ, ასეთი დადგმული სცენარები ბევრი იყო გასული წლების განმავლობაში და ძალიან ბევრი საინტერესო რამ გამოიკვეთება სამომავლოდ, — განაცხადა კახი კალაძემ.

ხურჩის ინციდენტის შესწავლაში თავიდანვე აქტიურად იყო ჩართული ადამიანის უფლებათა ცენტრი. ორგანიზაციამ გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელა. ისინი მიესალმებიან იმ ფაქტს, რომ საქმის ხელახალი შესწავლად დაიწყო.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიესალმება შსს-ს მხრიდან ე. წ. ხურჩის ინციდენტზე გამოძიების განახლებას და იმედი აქვს, რომ საგამოძიებო მოქმედებები წარიმართება ობიექტურად, ყველა პროცესუალური ნორმის დაცვით. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, გამოძიებამ გამოავლინოს ამ მძიმე დანაშაულის დამკვეთები.

როგორც ორგანიზაციის განცხადებაშია აღნიშნული, 2008 წლის 21 მაისს, საპარლამენტო არჩევნების დღეს, სროლა ისმოდა სოფელ ხურჩაში, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის დემილიტარიზებულ ტერიტორიაზეა. ქართულმა ტელევიზიებმა გაავრცელეს ცნობები, რომ ავტობუსები, რითაც ქართველი ამომრჩევლები აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების კონტროლირებადი ტერიტორიიდან ხურჩაში ხმის მისაცემად მიყავდათ, ააფეთქეს და ცეცხლი გაუხსნეს. ტელევიზიით აჩვენეს დრამატული კადრები, თუ როგორ იწვოდა ავტობუსები და დაპანიკებული ხალხი გარბოდა. იმავე დღეს, მოგვიანებით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდში ჩავიდა და სროლების შედეგად დაჭრილი ადგილობრივი ქალბატონი საავადმყოფოში მოინახულა. შსს-მ გაავრცელა განცხადება, სადაც ტერაქტში რუსეთის სპეცსამსახურებს და აფხაზ სეპარატისტებს ადანაშაულებდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა იმთავითვე კრიტიკულად შეაფასა ტერაქტის ოფიციალური ვერსია. 22 მაისს ხურჩაში ჩავიდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის დამკვირვებლები, რომლებმაც ინციდენტის ადგილი შეისწავლეს გაეროს სადამკვირვებლო მისიის სამხედრო ექსპერტ ანდრეს ტრენბორგთან ერთად. ისინი ასევე გაესაუბრნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. ჩატარებული კვლევის შედეგად დამკვირვებლებს ბევრი კითხვა გაუჩნდათ, კერძოდ: 1. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული უშიშროების თანამშრომლები სროლის

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# შალვა ხაჭაპურიძე: „ქვანიას საქმე არჩევნების შემდეგ გაიხსნება“

## რატომ დუმს გიორგი ბარამიძე

ნონა ცაბაძე



### ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

*— საზოგადოების ყურადღება საპრეზიდენტო არჩევნებისკენ არის მიპყრობილი, სულ სამიოდე დღე რჩება არჩევნებამდე, როგორია თქვენი შეფასებები, პროგნოზები, რას ელოდებით?*

— პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ დემოკრატიულ გარემოში მიმდინარეობს ყველაფერი, ალბათ, მსგავსი სიტუაცია და არჩევნები საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. არანაირი დაძაბულობა არ ახლავს თან, არანაირი პროვოკაციები. პროცესები ისე მიმდინარეობს, თითქოს ევროპაში ვართ. კარგია, ეს ასე რომ ხდება, მივესალმები ამას. არავის არ დევნიან, არ სცემენ, არ აპატიმრებენ, ქვეყანა მიდის დაწყნარებისკენ. მგონი, გადავურჩით იმ ცხრაწლიან საგიჟეთს. დანარჩენი ახლა, ვერ გეტყვით, რომ საარჩევნო კოდექსი უნიკალური გვაქვს, ვერ გეტყვით, რომ საკანონმდებლო კუთხით ყველაფერი დემოკრატიულადაა და ვერც იქნებოდა, რადგან ამჟამინდელი ხელისუფლება ყველაფერს ერთ წელიწადში ვერ მოასწრებდა.

*— ეს ბოლო დღეები კომპრომატების ფრიალი იქნებაო და თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ და რამდენად გჯერათ ამის?*

— სიმართლე გითხრათ, არა მგონია, ასე იყოს. არანაირი კომპრომატების ომი არ იქნება. გავიარეთ ჩვენ ეს ერთი წელიწადი და იმხელა ემოციები და ისეთი ამბები იყო, რომ თუკი რამე კომპრომატები ჰქონდათ, ამას ნებისმიერი ძალა გამოიყენებდა კონკურენტის წინააღმდეგ. რაიმე სერიოზულს, ისეთს, რომ არჩევნებზე ზეგავლენას მოახდენს, სიმართლე გითხრათ არ ველოდები. აქაც ნაციონალების ხელს ვხედავ, მათი აგორებულია ეს ჭორები, რომ კომპრომატები და ასე შემდეგ. ისეთი რა უნდა მოხდეს, რომ არჩევნებზე ზეგავლენა მოახდინოს, ეს ტექნოლოგიურადაც შეუძლებელი იქნება, იმდენად მცირე დროა დარჩენილი. მე ამ კუთხით რაიმე პრობლემებს გამოვრიცხავ.

*— რაც შეეხება ქართული ოცნების წევრების წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას აგენტობისა და ჩანერგილობის თაობაზე, ამის შესახებ რას ფიქრობთ?*

— რამდენიმე ისეთი ადამიანია დასახელებული, რომელთანაც მე ვმეგობრობდი წლების განმავლობაში და ისინი რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ და სულ ჩართულნი იყვნენ ამ პროცესებში. ვერ გეტყვით, რა ხდება, ის, რაც იბეჭდება და რასაც ვხედავთ, შეიძლება ეს ყველაფერი ფალსიფიცირებული იყოს, ან არ იყოს ფალსიფიცირებული. თუ ასეთი რამ არის, ეს ცნობილი უნდა გახდეს საზოგადოებისთვის. გახსოვთ, როდესაც ეს ხელისუფლება მოვიდა, რომ გასაჯაროებულიყო ყველა ის დოკუმენტი, რომელიც უშიშროების სამსახურში ინახებოდა და დღესაც ინახება. ე.წ. ოპოზიცია იქნებოდა თუ ე.წ. საზოგადო მოღვაწეები, ვინც ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა და ამაში იღებდა გასამრჯელოს თუ სხვა რამეს, ეს ყველაფერი გასაჯაროებულიყო და ლუსტრაცია მომხდარიყო ამ ყველაფრის. ხელისუფლება მაშინ არ გამოეხმაურა ამას და მე ვფიქრობ, რომ სწორადაც გადადგა ეს ნაბიჯი, რადგან გარკვეულ რყევებს გამოიწვევდა ეს ყველაფერი. ჩვენ რაც ნაკლები რყევებით გავივლით ამ სამ-ოთხ წელიწადს, მით უკეთესია ქვეყნის განვითარებისათვის, ვინც სახელმწიფოებრივად აზროვნებს, ასე ფიქრობს. ვინც არ აზროვნებს სახელმწიფოებრივად, მისი დამოკიდებულება ასეთი არის, რომ მე თუ აღარ ვარ, ჩემ მერე ქვა ქვაზე აღარ დარჩენილაო. ამიტომ ბუნებაში თუ არსებობს ასეთი კომპრომატები, აჯობებს, რომ არჩევნებამდე არ იქნეს გამოყენებული. თუ მართლა არსებობს ასეთი დოკუმენტები, არჩევნების შემდეგ ისინი აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს და ხალხმა სიმართლე უნდა გაიგოს. კაცი თუ გამოდის დღეს და გეუბნება, რომ მე გმირი ვარ, რეჟიმს ვებრძოდიო და იმავდროულად აგენტი იყო, რა თქმა უნდა, ამის შესახებ საზოგადოებამ სიმართლე უნდა იცოდეს. ვინც არ გაიარა ეს გზები, ძალიან ცივილიზებული ფორმებით ვინც არ მოახდინა ლუსტრაცია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ის სახელმწიფოები ვერ განვითარდნენ. მოდით, დავაკვირდეთ უახლეს ისტორიას, იგივე ბალტიისპირეთმა გააკეთა ეს ყველაფერი, ადგნენ და პირდაპირ ლუსტრაციის კანონი მიიღეს.

*— ჩვენთანაც იყო საუბარი ლუსტრაციის კანონის მიღებაზე...*

— თავის დროზე პადოშა გვეუბნეოდა, ლუსტრაციის კანონი მიიღეთო და მისი მხრიდან სასაცილო იყო ეს ყველაფერი. ამას გარკვეული დრო სჭირდება, სიტუაციის შეფასება, რაღაცების გადაფასება უნდა მოხდეს და ამის შემდეგ თვითონ სახელმწიფომ უნდა გადადგას ეს ნაბიჯი. მე პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებზე და ასეთ სიბინძურეებზე არ ვსაუბრობ. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ ვთქვათ, აგენტი იყო, ჩანერგილი იყო ოპოზიციაში და ასე შემდეგ. ჩვენ თავგანწირვით ვიბრძოდით, სიცოცხლე გვქონდა მიტანილი ამ ბრძოლაში და თუ ვიღაცა აგენტი იყო და ამ დანაშაულებრივ რეჟიმთან თანამშრომლობდა და დღეს კიდევ ჭკუას გვასწავლის და გვმოძღვრავს, როგორც ერთ-ერთი მებრძოლი ამ რეჟიმთან, ელემენტარულად უზნეობაა. მე მივესალმები ამის ლუსტრაციას, ოღონდ ნამდვილი მტკიცებულებებით და არა ასე გამოგონილი და უსაფუძვლო და ყურით მოთრეული ფაქტებით. თუ მტკიცებულებები არსებობს, ამ ადამიანების საკანონმდებლო პასუხისმგებლობა თუ არა, ელემენტარული ზნეობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. რა თქმა უნდა, იმათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც პოლიტიკაშია. როგორც წესი, დღეს ძირითადად პოლიტიკოსები აინტერესებს საზოგადოებას. ეს თუ მოხდება, უნდა მოხდეს აუცილებლად არჩევნების შემდეგ, რადგან ჩვენთვის სტაბილიზაცია, იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც 9-წლიანი ტირანიიდან გამოვიდა, სტაბილიზაცია არის უმნიშვნელოვანესი.

*— არის დესტაბილიზაციის საფრთხე?*

— ამ ეტაპზე ამას ნაკლებად ველი. დააკვირდით, ვინ ქმნის დღეს ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერებს, ამის ნომერ პირველი შემოქმედი არის სააკაშვილი. სააკაშვილი, რა თქმა უნდა, ემზადება იმისთვისაც, რომ არჩევნების შემდეგაც გააგრძელოს ეს დესტაბილიზაცია, იმიტომაც არის ბრძოლა იმისთვის, რომ მეორე ადგილზე, გინდა თუ არა, გადის დავით ბაქრაძე. ეს ენდიაი რაღაც სასაცილო ორგანიზაციად გადაიქცა.

*— მართლაც რამდენად არის იმის შანსი, რომ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავიდეს და რა მოჰყვება ამას?*

— არანაირი შანსი ამისი არ არის, რომ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავიდეს. იცით, თქვენ, რომ ნაციონალური მოძრაობა საკმაოდ სერიოზულადაა წარმოდგენილი საარჩევნო კომისიებში და იმ ხალხს ერთ წელიწადში ტვინი ვერ გადაუბრუნდებოდათ. ისინი დარჩენილები არიან ისევ იმ მენტალიტეტზე, ისევ იმ აზროვნებაზე, ისევ ნოსტალგია აქვთ იმ ძველი ტირანული რეჟიმის, სადაც ისინი კომფორტულად გრძნობდნენ თავს. საერთოდ არ აინტერესებდათ ქვეყნის ბედი, ოღონდ საკუთარი ინტერესები დაეკმაყოფილებინათ. ყველაფერს კადრულობდნენ. აგერ ჩვენ ვნახეთ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გახსნა საქმე, რომელზეც თავის დროზე ჩვენც ვიძახდით, რომ არანაირი ტერაქტი არ ყოფილა. საერთოდ არანაირი ტერაქტები არ ხდებოდა. ამას ყველაფერს ნაციონალური მოძრაობა აწყობდა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ყველაფერს გამოიძიებს და სააშკარაოზე გამოიტანს. მე მაგალითად გავიხსენებ სააკაშვილი-ბოკერიას მიერ დაგეგმილ ერთ ასეთ „ტერაქტს“ და ამის შესახებ მერე ნაციონალებიც ყვებოდნენ და ანეკდოტად დადიოდა ეს ფაქტი, როდესაც კაჩინსკი იყო ჩამოსული და ვითომ საზღვარზე მიიყვანა სააკაშვილმა, იქ ატყდა სროლები და ვითომ კაჩინსკი ძლივს გადაარჩინეს ბრძოლებს. ეს დადგმული სპექტაკლი იყო და ისევ სააკაშვილის დაცვამ გააჟღერა. რადგან ეხლა ეს უბედურება მოვიშორეთ, ამ ჯუბედურებასტან თუ ვინმე თანამშრომლობდა, რა თქმა უნდა, ამის შესახებ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, მაგრამ ეს უნდა იყოს დამტკიცებული და დასაბუთებული. რაც შეეხება იმას, მეორე ადგილზე გავა თუ არა ბაქრაძე, ესეც ვიღაცის სურვილებია. თუ მეორე ადგილზე გადიხარ, შენ კი წააგე ქართულ ოცნებასთან, მაგრამ საზოგადოებაში საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი გაქვს. ქართულ ოცნებას დღეს დაეწიო, ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი თამაშობს აქ ძალიან დიდ როლს. მაგრამ ბიძინა ივანიშვილი თუ აღარ იქნება, ნახეთ, რა ქვეტექსტები იკითხება, ბიძინა ივანიშვილი მიდის პოლიტიკიდან და პლუს კიდევ სამი წელია არჩევნებამდე, ამ სამ წელიწადში ქართულმა ოცნებამ დაკარგა თავისი რეიტინგი და დღეს ჩვენ უკვე თავისუფლად შეგვიძლია, თუ მეორე ადგილზე გავედით, პირველ ადგილზეც რომ გავიდეთ. ანუ ნაციონალებისთვის მეორე ადგილი სამკვდრო სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. იმიტომ, რომ აქ ასე ისმება საკითხი — სრული კატასტროფა თუ რეანიმაცია და მდგომარეობიდან გამოსვლა.

*— კიდევ ერთ თემას მინდა შევეხოთ და ეს არის გახმაურებული საქმეები, როგორც იურისტს მინდა ამ საკითხზეც ისაუბროთ, ვხედავთ, რომ დაიძრა ქვანიას საქმე, ოჯახის წევრებიც უფრო გაბედულ განცხადებებს აკეთებენ. მოვისმინეთ ძმის განცხადება, მან კონკრეტული გვარიც დაასახელა. რა ხდება, გაიხსნება ეს საქმე?*

— რადგან ეს კოჰაბიტაცია უნდა დამთავრდეს ამ არჩევნების შემდეგ, ეს გახმაურებული საქმეებიც ნახავენ დღის სინათლეს. მე ვიცი, რომ ბევრი საქმე გახსნილია, ბევრი საქმე მიყვანილია საბოლოო კონდენციამდე, მაგრამ ამ კოჰაბიტაციის გამო ეს ყველაფერი შეჩერებული იყო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როდესაც 25 მილიონი პარტიულ ხაზინაში შემოედინება, ეს ძალიან დიდი რესურსია, ეს ნებისმიერი ამერიკული პარტიისთვისაა დიდი ფული. ნაციონალები ამ თანხას ლობისტურ კომპანიებში ხარჯავენ და მსოფლიოში პოლიტიკურად დევნილი პარტიის იმიჯს ირგებენ. აქედან გამომდინარე, ზეწოლაც დიდია ხელისუფლებაზე. შედეგიც სახეზეა, თურმე ვანო მერაბიშვილი უნდა გამოაცხადონ პოლიტპატიმრად. ამ ყველაფრის მიუხედავად, საზოგადოება დიდი ყურადღებით აკვირდება ამ საქმეებს და თუ არ დაიდო შედეგები, რა თქმა უნდა, ამასაც დიდი რეაგირება მოჰყვება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმეები დაიდება! ჟვანიას საქმე გახსნილია, მაგრამ მე ცოტა მიჭირს პროგნოზის გაკეთება, თუ რამდენად გახმაურდება ამ საქმის ყველა დეტალი. შესაძლოა საქმის ყველა დეტალი საზოგადოებისათვის არ გახდეს ცნობილი, რადგან შესაძლოა ბევრი ისეთი დეტალი და თემა იყოს, რომლის გახმაურებაც არ შეიძლება, მაგრამ ყველა ის ადამიანი, რომელსაც ამაში მონაწილეობა აქვს მიღებული, უნდა დაისაჯოს!

*— ბარამიძის გვარი გაჟღერდა, მაგრამ ის რატომღაც დუმს...*

— ბარამიძე დუმს, რადგან ის ელოდება, რას იზამს ხელისუფლება, წავა იმაზე, რომ გააჟღეროს ის პოლიტიკური ნიუანსები, რომლის გამოც ეს დანაშაული მოხდა? პოლიტიკური მკვლელობები ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. ეს არ არის ჩვეულებრივი, რიგითი საქმე, პოლიტიკურ მკვლელობაზეა საუბარი. პირდაპირ ვუკეთებ ამას დეფიცირებას — ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა! აქედან გამომდინარე, ვნახოთ, ხელისუფლება რა გადაწყვეტილებას მიიღებს, გაასაჯაროებს ამ საქმის დეტალებს, არ გაასაჯაროებს, რა იქნება, როგორ იქნება... ძალიან საინტერესო მოვლენები გველოდება წინ საკმაოდ ბევრ საქმესთან დაკავშირებით. არჩევნების შემდეგ ყველაფერი დალაგდება და გაირკვევა.

# დავით ლილუაშვილი: „ივანიშვილი მემკვიდრედ სუსტ პოლიტიკოსს დაასახელებს“

შორენა კოწოწაშვილი



**რა შეუწყნარებელი შეცდომა ჩაიდინა ბიძინა ივანიშვილმა, რა მსგავსებაა „ნაციონალების“ და „ოცნების“ ნაბიჯებში და რა მიზნით მიდის ის არასამთავრობო სექტორში? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს კოალიცია „ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელ დავით ლილუაშვილთან.**

*— ბატონო დავით, თქვენ, როგორც უფლებადამცველი, რამდენიმე წელია აქტიურად ხართ ჩართული საარჩევნო პროცესის მონიტორინგში. როგორ აფასებთ საარჩევნო პროცესს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე? არასაპარლამენტო ოპოზიცია საარჩევნო სიების პარალელურად არათანაბარ ფინანსებზეც საუბრობს...*

— რა თქმა უნდა, ქვეყანაში სააკაშვილის რეჟიმის დროინდელი წინასაარჩევნო გარემო აღარ არის, რა დროსაც მოსახლეობაზე ძალადობა და პოლიტიკურ ოპონენტებზე ანგარიშსწორება ხდებოდა. ამ მხრივ ნამდვილად შეიცვალა ვითარება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი ხელისუფლება წინასაარჩევნო პერიოდში გახდა მეტად აგრესიული რიტორიკაში ანუ მართალია მათგან არ არის ფიზიკური ტერორი არავის მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ, მთავრობას ისეთი პროპაგანდისტული პოლიტიკა აქვს არჩეული, რომელიც იმ დროს მაგონებს, სანამ ნაცმოძრაობა აბსოლუტური ძალაუფლების შედეგად ავტორიტარულ რეჟიმად ჩამოყალიბდებოდა. ნაციონალებსაც ხელისუფლებაში ყოფნის საწყის ეტაპზე ანალოგიური კრიტიკა ჰქონდათ, რაც ახლა „ოცნების“ ლიდერებს აქვთ. არასაპარლამენტო პარტიები კი რაზეც საუბრობენ, მართლებიც არიან. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ რომ ჩამოირიგეს ბიუჯეტიდან მილიონები, როგორც საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე კვალიფიცირებულმა სუბიექტებმა, ხოლო არასაპარლამენტო ოპოზიციაზე კი იმ მიზერული თანხის მიცემაც არ უნდოდათ, რაც შემდეგ დიდი ბრძოლის შედეგად მიიღეს. ამ საკითხთან დაკავშირებით მაინტერესებს, რატომ დაავიწყდა ხელისუფლებას ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს ზოგმა პარტიამ შეგნებულად საერთოდ არ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, ხოლო ზოგმაც პარტნიორობის რეჟიმში ჩაიყენა საკუთარი თავი და მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატები მოხსნა, ორივე შემთხვევაში ეს პარტიები მოტივირებული იყვნენ იმით, რომ ხმები არ გაყოფოდა „ქართულ ოცნებას“ და სამაგიეროდ, რა მიიღეს?! რა და, შუა გაკრეფის დამოკიდებულება და პოლიტიკური თვალსაზრისით ისეთი საარსებო მინიმუმი და მცირე დაფინანსება, რომ ტრაგიკომიკური მდგომარეობა აქვთ. ეს არის ღირსეული ქმედება ხელისუფლებისგან? გულმავიწყობა და უმადურობაც ნამდვილად ამას ჰქვია!

*— რამდენად არგუმენტირებულია მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ წაყენებული პრეტენზიები, რომ წინასაარჩევნო დაპირებების უმრავლესობა არ შესრულდა; რომ ივანიშვილს უჭირს სახელმწიფო მართვა და ამიტომ ტოვებს პრემიერის პოსტს...*

— „ქართული ოცნების“ მიერ შეუსრულებელი დაპირებები ეს მათი აქილევსის ქუსლია. უმადურობა რომ არ დამბრალდეს, დავიწყებ იმით, რაც შესრულდა: განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, არის პოლიტიკურად არაძალადობრივი გარემო, პოლიცია აღარ არის (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს) პოლიტიზებული, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აღარ არის და ა.შ. რაც შეეხება შეუსრულებელ დაპირებებს, არ მოხდა სამართლიანობის აღდგენა და ამ მხრივ მრავალი ათეული ჯალათი და ავტორიტარული რეჟიმის იდეოლოგები არ დასჯილან; არ იქნა გამოძიებული უფლებაშელახული ადამიანების საქმეები, არ განახევრდა საწვავისა და კომუნალური გადასახადების ფასები და ა.შ. თქვენ მკითხეთ, ივანიშვილს უჭირს სახელმწიფოს მართვა და ამიტომ ტოვებს პრემიერის თანამდებობასო? რა გითხრათ, ალბათ ასეცაა. მას ხომ პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს, ერთია კეთილშობილური მიზნის მიღწევა და ამით მოპოვებული გამარჯვება, მაგრამ მეორეა ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახელმწიფოს მართვის რუტინული სამუშაო პირობებში ყოფნა, პოლიტიკური მოღვაწეობა. ვფიქრობ, მისი მიზანი იყო სააკაშვილის რეჟიმის დასრულება და ახლა აპირებს სხვებს გადასცეს სახელმწიფო მართვის სადავეები და ისინი აკონტროლოს არასამთავრობო სექტორიდან.

*— ვის დატოვებს თავის ადგილზე ბიძინა ივანიშვილი, ვინ იქნება მომავალი პრემიერი და ივანიშვილის მემკვიდრე?*

— ალბათ, მარგველაშვილის მსგავს პოლიტიკურად სუსტი ბეგრაუნდის მეორე ახალბედა პოლიტიკოსს, რომელიც კოლიზიაში არასდროს არ მოვა თავის თანაგუნდელებთან. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ საპარლამენტო შემადგენლობას და კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ საბჭოს. და რაც მთავარია, ვინაიდან ივანიშვილი აპირებს არასამთავრობო სექტორიდან გააკონტროლოს ხელისუფლება, მისი პოლიტიკური მემკვიდრე ალბათ ყოველთვის მოუსმენს მას და მიიღებს მისგან მითითებებს, პარადოქსია, მაგრამ ასე იქნება.

*— რა მსგავსება იკვეთება მარგველაშვილისა და სააკაშვილ-ბაქრაძის მიერ წარმოებულ წინასაარჩევნო კამპანიებს შორის? ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება სახეზეა?*

— მსგავსება ისაა, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ვგულისხმობ, პოლიტიკური თანამდებობის პირების აქტიურ მონაწილეობას საარჩევნო კამპანიის დროს, ხდებოდა ადრეც და ხდება ახლაც. აღნიშნული კი საარჩევნო კოდექსის მიხედვით არის დაშვებული, მხოლოდ მცირედი შეზღუდვებით. იმის თქმა მინდა, რომ თავის დროზე ნაციონალების მიერ საარჩევნო კანონმდებლობაში სპეციალურად მიღებული ნორმები არ შეცვლილა. ამას ახლა „ქართული ოცნება“ ეფექტურად იყენებს, ვინაიდან ეს ხელსაყრელია მათთვის. ხომ ხედავთ, როგორ დაყვება პრემიერ-მინისტრი, მინისტრები და მათი მოადგილეები მარგველაშვილს სხვადასხვა შეხვედრების დროს, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ამას სამწუხაროდ, საარჩევნო კოდექსი არ კრძალავს. მსგავსებაა უტოპიურ დაპირებებშიც. მარგველაშვილი რომ ამბობს და ჰპირდება ამომრჩევლებს, 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდებაო, საინტერესოა, როგორ აპირებს ამას, როცა ეს მთლიანმა კოალიციამ და მისმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ვერ მოახერხა დასავლეთის მხრიდან წარმოებული ზეწოლის შედეგად. საინტერესოა, რას უზამს მარგველაშვილი პარლამენტში მოკალა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# სამეგრელო, შავი პიარი, სექსუალური და რელიგიური უმცირესობები – ჯერემი როსნერის რჩევები დავით ბაქრაძისთვის და არა მარტო მისთვის!

პიარის გამოყენებაზე ბიძინა ივანიშვილის უარი, შესაძლოა, მას თავად ერთობ ორიგინალურ სვლად მიაჩნია, თუმცა ამ თამაშში მას „ნაცმოძრაობა“ და მისი ხელახლა არჩეული თავმჯდომარე სააკაშვილი რომ არ შეყვებოდა, იმთავითვე ცხადი იყო. პიარის დიდოსტატად აღიარებული მიხეილი, მართალია, ბოლოხანს აშკარად აცდენილია რეალობას. არადა, არც ისე დიდი ხნის წინ იგი თავად იყო „რეალობის“ შემქმნელიც, მისი გამპიარებელიც და ამ პიარის ნაყოფის მიმღებიც.

დღეს მისი „რეალობა“, როგორც ბიძინა ივანიშვილი იტყოდა, მყისიერად იცვლება და სააკაშვილი იმდენად არაადეკვატურია მის შეფასებაში, რომ „ნაცმოს“ ყრილობაზე ათი წლის წინანდელი პათოსით გამოდის და აცხადებს, რომ ის და მისი პარტია გაცილებით უფრო ადრე დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, „ვიდრე ამათ ჰგონიათ“.

„ამათში“, სავარაუდოდ, მხოლოდ „ოცნების“ პოლიტიკური გუნდი კი არა, მთელი დანარჩენი საქართველოც იგულისხმა, ცხადია, საკუთარი ერთგული თანამებრძოლების ვიწრო წრის გარდა. „ამათ“ არ ვიცი, მაგრამ ქართველ ამომრჩეველზე კვლავ მანიპულირებას რომ ახორციელებენ, ეს უდავოა.

ქართული ტელეკომპანიები ისეთი სიფაქიზით ეპყრობიან ყოფილი მმართველი პარტიის რეპუტაციას, რომ წლების (9 წელზე გაცილებით მეტი ხნის) განმავლობაში გაბეზრებულ მაყურებელს ყოველდღიურ რეჟიმში ასმენინებენ მათ სენტენციებს. ამას, როგორც ჩანს, დაბალანსებულ ჟურნალისტიკად მიიჩნევენ, თუმცა რატომ იკავებენ არაადეკვატურად დიდ საეთერო დროს იმ პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც საკუთარი მმართველობისას არც სხვას უსმენდნენ და არც დებატებს წყალობდნენ, უცნობია.

ასევე უცნობია, საზოგადოების უმცირესი ნაწილის შეხედულებების გამომხატველ ძალას რატომ უქმნიან სასათბურე მედია-პირობებს და რას მოიტანს ეს „ლობიოობანას“ თამაში. უფრო სწორად, ძალიანაც კარგად არის ცნობილი, თუ ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის თეზისს არ გავიზიარებთ, რომ „ყველაფერი დაგვავიწყდა და ეს კარგია“.

ვისაც არ დაგვავიწყდა, გაგვატარეთო, იტყვის საზოგადოების უმრავლესობა და მართალიც იქნება. ამ იწილო-ბიწილოში კი ყოფილი მმართველი პარტია თავისას განაგრძობს და 2008 წლის წაგებულ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მხსნელი ამერიკელი პიარტექნოლოგების მომსახურებით დღესაც სარგებლობს.

ქართული მედია საეჭვო გულგრილობით შეხვდა გიგა ბოკერიასთვის ჯერემი როსნერის მიერ გამოგზავნილ წერილს, რომელიც ლატვიური პრესის მთავარ თემად იქცა სამი დღის განმავლობაში. „გრინბერგ-ქუინლანდ-როსნერის“ კომპანიის პარტნიორი როსნერი ასე არიგებს უშიშროების საბჭოს ჯერ კიდევ მდივანს: „ჩვენ ვერ გვამშვიდებს ბოლო გამოკითხვის შედეგები. უეჭველია, რომ ქალბატონი ბურჯანაძე მყარად ინარჩუნებს მეორე პოზიციას და თანდათან უახლოვდება პირველ პოზიციასთან 10%-იან ჩამორჩენას, რომელიც უკავია მარგველაშვილს. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ, რომ ჩვენმა მეგობრებმა „ენ-დი-აი“-დან გამოაქვეყნონ კვლევის ისეთი შედეგები, რომელიც არ დაუშვებს დაეჭვებას:

- მეორე ტურის პერსპექტივაში;
- დავითის მეორე ადგილში;
- ბურჯანაძის პოზიციების სრულ უპერსპექტივობაში“.

ერთი სიტყვით, „ენ-დი-აი“, რომლის კვლევებს, ალბათ, მხოლოდ ლუის ნავაროღა თუ ენდობა, პირდაპირ იმართება და იმას ახმოვანებს, რასაც სააკაშვილის ლობისტები უბრძანებენ. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ სწორედ ამ „რჩევებით“ იმართება დღევანდელი წინასაარჩევნო კამპანია: „ენ-დი-აიც“ და „ოცნების“ სოციოლოგებიც შესაშური ენთუზიაზმით ახორციელებენ როსნერის რჩევებს და სწორედ ამ სამი პუნქტის პროპაგანდით არიან დაკავებული. საკითხავი მხოლოდ ერთია: ივანიშვილის უარი პიარზე იმას ითვალისწინებს, რომ მისივე გუნდი „ნაცმოს“ პიარზე მუშაობს? განსხვავება მათ შორის მხოლოდ ივანიშვილის განცხადებაში გამოჩნდა, როცა მან მეორე ტურის შესაძლებლობა კატეგორიულად, მისთვის ჩვეულ სტილში გააპროტესტა. თუმცა ბაქრაძის მეორე ადგილში არც მას შეუტანია ეჭვი. მესამე პუნქტს - ბურჯანაძის უპერსპექტივობის შესახებ ივანიშვილმა მოხერხებულად აუარა გვერდი.



Message view - Inbox Mai

mail.inbox.lv/horde/imp/message.php?mailbox=INBOX&index=15&array_index=0&page=1

It is drastically necessary to increase the negative image campaign towards both Margvelashvili and Burjanadze, with particular emphasis on the latter. This will include material that both incriminates and compromises their family members, spouses, sons, daughters and parents. In this sense, David is in a less vulnerable position, with minor exceptions.

By the way, please relay to David that he should stop publicly vilifying the Mingrels. When we met he repeatedly referred to them as the most slow, bordering on cannibals ethnic group in Georgia. The irony however, is that our friend has the highest rating within this region.

By studying the results of the poll, I am once again convinced that the key target audience for Burjanadze is a voter, disillusioned by dreamers. Considering this I suggest that fewer resources are spent on negative advertising of the "dream" as a whole, and instead focus more efforts on a personal campaign against Margvelashvili and primarily Burjanadze. Georgi, Bear in mind that a low turnout and the maximum mobilization of your supporters is our main ally.

Once again I would like to ask you to step up the campaign on both media and social networks, both the negative and aggressive campaign against opponents and the continuation of the peaceful, positive positioning of Bakradze. I would also ask that you strengthen the information campaign directed at the young electorate. I am pleased and inspired by the results of the study, however I think that there are untapped reserves that still need to be mobilized.

As for future visits to Washington, a series of important agreements have already been attained. Naturally, this took great effort and time, but we will discuss this during our meeting in Europe.

It is imperative to enlist the support of our friends in Europe therefore a group of observers is currently being recruited. Given our modest means we will try to organize about 10 European missions to visit Georgia, as well as an impressive group of observers from the United States. I would not dare to guess the exact number now, but I think that next week I can give you a more specific figure.

As for engaging the European media, we are faced with unforeseen issues. Many of our friends refuse to cooperate on various pretexts. I think we need to change the information strategy in light of the fact that the efforts of the new government are gradually shifting the perception of Georgia within the greater global community. There is little doubt in the pro-Western orientation of the current government.

Intuitively I feel, although support can be found in recent studies, that government criticism should be expressed through the paradigm of the civil and religious rights of ethnic and sexual minorities. This model is easily accepted and supported by the European and American media. Think about it and let me know.

---
Best regards,
**Jeremy D. Rosner, Ph.D.**
Executive Vice President

**Greenberg Quinlan Rosner**
10 G Street, NE
Suite 500
Washington, DC 20002
T: +1 202 478 8300
F: +1 202 478 8301
jeremy.rosner@gqrr.com
www.gqrr.com

---------- End of forwarded message ----------

Delete Reply Reply to all Forward Spam Move to Mark as More

თუმცა როსნერის წერილს მივუბრუნდეთ: „გამოკითხვების შედეგების შესწავლის შედეგად მე კიდევ ერთხელ დავრწუნდი, რომ ბურჯანაძის ძირითად სტრატეგიულ რესურსს წარმოადგენს მეოცნებეებში იმედგაცრუებული ამომრჩეველი. მე გთავაზობთ, რომ უფრო ნაკლები რესურსი დახარჯოთ მთლიანად „ოცნების“ ნეგატიურ კამპანიაზე და ძალისხმევის კონცენტრაცია გააკეთოთ პირადად მარგველაშვილის და, პირველ რიგში, ბურჯანაძის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზე. გიორგი, გაითვალისწინეთ, რომ ჩვენი მოკავშირეები არიან ამომრჩევლების გამოცხადების დაბალი მაჩვენებელი და თქვენი მომხრეების მაქსიმალური მობილიზაცია“.

ამიტომაც იყო, რომ ივანიშვილი რადიოკომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ლამის იხვეწებოდა ამომრჩევლების მისვლას საარჩევნო უბნებზე, თუმცა აქ „ნაცმოს“ და „ოცნების“ ინტერესები აშკარად იმიჯნება: თუ პირველს დაბალი გამოცხადება სჭირდება, მეორეს მხოლოდ ამომრჩევლის მობილიზაციის იმედი შეიძლება ჰქონდეს.

პიარის „მარგალიტებს“ წარმოადგენს როსნერის რამდენიმე რჩევა „ნაცმოსთვის“: „გარდა ამისა, აუცილებელია მარგველაშვილისა და განსაკუთრებით ბურჯანაძის წინააღმდეგ ნეგატიური კამპანიის მკვეთრი გაძლიერება. ოჯახის წევრების, ცოლების, შვილების, მშობლების და ქმრების მაკომპრომეტირებელი მასალების გავრცელებას. ამ მიმართულებით, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დავითს, კონკურენტებისგან განსხვავებით, ნაკლებად მოწყვლადი სიტუაცია აქვს. სხვათა შორის, გადაეცით დავითს, რომ მან თავი დაანებოს მეგრელების სახალხოდ ლანძღვას. ჩემი თანდასწრებით, მან ისინი რამდენჯერმე მოიხსენია, ყველაზე ჩამორჩენილ, თითქმის კანიბალებთან გათანაბრებულ ეთნიკურ ჯგუფად. სასაცილო ისაა, რომ ამ რეგიონში მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს“.

„ნაკლებად მოწყვლადი“ დავით ბაქრაძე ქართველი ამომრჩევლისთვის იმით არის ცნობილი, რომ ერთ-ერთი ეგზოტიკური ვოიაჟისას მისმა ცოლმა და ოჯახის სხვა წევრებმა მობილურ ტელეფონებზე საუბრების ათასობით ლარის საფასური საქართველოს ბიუჯეტიდან გაისტუმრეს, თუმცა ეს ისე, სიტყვის მასალად, ხოლო რაც შეეხება ბურჯანაძის „ერთლარიან“ აგარაკს, რომელიც სხვათა შორის, სააკაშვილმა გადასცა (ძალიან ბევრ სხვა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ფიგურასთან ერთად), ეს თემა მკვდრეთით ვერ აღდგა; სულ უფრო ხშირად ისმის მოთხოვნა, ასევე დააბრუნონ „ერთლარიანი“ მიწის ნაკვეთები, ბინები და სხვა ქონება სააკაშვილის პოლიტიკურმა და არაპოლიტიკურმა ახლობლებმა. ბურჯანაძისგან განსხვავებით, არცერთ მათგანს ეს არ გაუკეთებია და, სავარაუდოდ, არც გააკეთებს.

„მეგრული საკითხი“ მართლაც ერთობ საინტერესოა: თუ ვინმეს მართლაც სჯეროდა, რომ სამეგრელოში ხმების მაქსიმუმს ბაქრაძე მიიღებდა, როსნერის ამ წერილის შემდეგ, სავარაუდოდ, ამ იმედს უნდა გამოემშვიდობოს. თუმცა ეს ხმები არც მარგველაშვილთან მივა, რადგან კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმიდან რამდენიმე კილომეტრში მარგველაშვილის წარდგენისას პრემიერმა ივანიშვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მან განაცხადა, რომ მარგველაშვილის სახით საქართველოს ბოლოსდაბოლოს „ნამდვილად ევროპული ყაიდის პრეზიდენტი ეყოლება“. ზვიად გამსახურდიას თუ ვინმე ევროპელობას დაუწუნებდა, ამას სამეგრელოს ამომრჩეველი ნამდვილად ვერ დაუშვებდა. ეს წარდგენა კი „ოცნების“ კანდიდატის მხარდამჭერი „ნაციონალი“ სახეებით დაგვირგვინდა, რამაც ადგილობრივების მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია.

კიდევ უფრო საინტერესოა იმ „სამზარეულოს“ ამსახველი ციტატა, რომელშიც როსნერი უცხოელი დამკვირვებლებისა და მედიის გამოყენებაზე წერს: „უაღრესად მნიშვნელოვანია, ჩვენი ევროპელი მეგობრების მხარდაჭერის მოპოვება. დამკვირვებელთა ჯგუფის შედგენა უკვე მიმდინარეობს. ჩვენი მოკრძალებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შევეცდებით ორგანიზება გავუკეთოთ საქართველოში დაახლოებით 10 ევროპული მისიის, ასევე აშშ-დან დამკვირებლების სოლიდური ჯგუფის ჩამოსვლას“.

ზუსტად ასე იყო მობილიზებული უცხოელ დამკვირვებელთა მრავალრიცხოვანი არმია 2003 წლის „რევოლუციური“ არჩევნების დროს. ისინი ყველა მიღებული თუ მიუღებელი წესით ეხმარებოდნენ სააკაშვილს და მის გუნდს ხელისუფლებაში მოსასვლელად. დღესაც იგივეს გამეორებას აპირებენ, ივანიშვილი კი პიარზე უარს ამბობს და ამ მოედანს მთლიანად „ნაციონალებს“ უთმობს.

უცხოეთის მედიასთან, რომელიც ჩვენში დიდხანს ეგონათ კეისრის ცოლივით „უმანკო“, ასევე მუშაობენ, თუმცა ყველაფერი ისე დაწყობილად აღარ გამოსდით, როგორც ადრე: „რაც შეეხება ევროპული მედიის ჩართვას, აქ ჩვენ ვაწყდებით დაუგეგმავ პრობლემებს. ჩვენი ბევრი მეგობარი სხვადასხვა საბაბით უარს ამბობენ თანამშრომლობაზე. ჩემი აზრით, ჩვენ გვჭირდება საინფორმაციო სტრატეგიის შეცვლა, იმის გამო, რომ ახალი ხელისუფლების ძალისხმევა თანდათან ცვლის საქართველოს საგარეო პოლიტიკის აღქმის პარადიგმას. ახლა უკვე ცოტა ვინმეს თუ შეაქვს ეჭვი ახლანდელი მთავრობის პროდასავლურ ორიენტაციაში. მე ინტუიციურად გვრძნობ, თუმცა ზოგიერთი რამ შეიძლება აღმოვაჩინოთ ბოლო კვლევებშიც, რომ ხელისუფლების კრიტიკა უნდა გადიოდეს სამოქალაქო უფლებების, ძირითადად რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევის პარადიგმაზე. ეს თემა იოლად პოულობს მხარდაჭერას ევროპულ და ამერიკულ მედიაში. იფიქრე ამაზე და მომწერე“.

სხვადასხვა უმცირესობის უფლებების დარღვევით მანიპულირება რომ უკვე დაწყებულია, ამას ჩვენი საზოგადოება კარგად ხედავს. ისიც ნათელია, რომ მათი აქტივიზაცია სწორედ „ნაციონალებს“ აძლევს ხელს. ვიდრე ივანიშვილი საკუთარი ფავორიტის მეორე ტურით გვაშინებს, ხელს სწორედ „ნაციონალები“ ითბობენ, რომლებმაც სხვაზე უკეთ უწყიან, რომ მათ რეალურ ოპონირებას მხოლოდ ბურჯანაძე გაუწევს და არა „თავისუფლების ინსტიტუტის“ კურსდამთავრებული მარგველაშვილი, რომელსაც „ნაციონალებში“ მეტი მეგობარი ჰყავს, ვიდრე „ოცნებაში“.

რატომ დარჩა ქართულ მედიას უყურადღებოდ როსნერის ეს მართლაც სკანდალური წერილი გიგა ბოკერიას მიმართ? პასუხი მარტივია: „ისინი კი ცუდები იყვნენ, მაგრამ ჩვენც ხომ ცუდად არ მოვიქცევით“? ივანიშვილის ეს განწყობა ისეთი ხალისით აიტაცა ახალმა ხელისუფლებამ და ქართულმა მედიამ, რომ აუცილებლად მიმაჩნია, შევახსენო მათ: „ისინი“ ყველაფერს კადრულობდნენ და დღესაც კადრულობენ ძალაუფლების უზურპირებისთვის. მაგალითისთვის, ასეთი წერილი რომ არ ყოფილიყო, შეთხზავდნენ და ისე დაატირაჟებდნენ, რომ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსაც კი დააზეპირებინებდნენ. თუ ეს დუმილი და მედია-კოჰაბიტაცია“ კვლავაც გაგრძელდება, „ნაციონალები“ იმაზე ადრე დაბრუნდებიან, ვიდრე თქვენ გგონიათ და იმაზე მეტს ჩაიდენენ, ვიდრე ბოლო წლებში გვაქვს ნანახი.

**ნანა დევდარიანი**

## ირაკლი ღარიბაშვილი: „შსს-მ აუცილებელის გარდა, ყველა ე.წ. დახურული საარჩევნო უბანი გააუქმა“

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოში უპრეცედენტოდ თავისუფალი საარჩევნო გარემოა. საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით მინისტრმა შიდა ქართლში, საპატრულო პოლიციის რებრენდინგის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა.

მისი თქმით, თავის მხრივ, სამინისტრო დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად მზად არის.

ღარიბაშვილი ე.წ დახურული უბნების თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ უწყებაში ყველა ხელოვნურად შექმნილი უბანი გაუქმებულია, გარდა აუცილებელი დახურული უბნისა.

„ალბათ, გახსოვთ, რომ წლების განმავლობაში არსებობდა ე.წ. დახურული უბნები, სადაც აბსოლუტურად ნოლი კონტროლი იყო, იქ მონიტორინგის უფლება პრაქტიკულად არავის არ ჰქონდა. ხდებოდა პოლიციელების ასე ვთქვათ, ძალიან შეურაცხმყოფელად მიყვანა, ძალდატანება და სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემა. ეს ეპოქა წარსულს ჩავაბარეთ. ჩვენ ხელოვნურად შექმნილი უბნები გავაუქმეთ. დავტოვეთ მხოლოდ აუცილებელი დახურული უბნები, სადაც პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა ამის გარეშე. მხედველობაში მაქვს იგივე საჯარისო, ასე ვთქვათ, სპეცდანიშნულების რაზმები და წვევამდელების დახურული უბნები. ასე რომ, ეს არის მართლაც დიდი მონაპოვარი. როგორც ავღნიშნე, ეს არის უპრეცედენტო საარჩევნო გარემო“ – განაცხადა მინისტრმა.



მისი თქმით, შესაბამისად, ყველა პოლიციელს საკუთარი არჩევნის დასაფიქსირებლად სრული თავისუფალება აქვს.

**ნიუსპრესი**

## ნინო ბურჯანაძე: „რეფორმის ნაცვლად, „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელ მოსამართლეებს ხელფასი მოუმატა“

საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. „დემოკრატიული მოძრაობის“ პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა არასამთავრობოების მოთხოვნით გაიმართა, სადაც ძირითადად სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრებს.

ბურჯანაძემ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გააცნო.

„ცხადია, დავთანხმდი არასამთავროების შემოთავაზებას, გვემსჯელა სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით. ზოგადად, სხვა კანდიდატებისაგან განსხვავებით, არ მეშინია არც დებატებში მონაწილეობისა და არც არასამთავრობოებთან თუ სხვებთან შეხვედრის და ჩემი პოზიციის დაფიქსირების“ – აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, სასამართლო რეფორმის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის კუთხით.

„მაქვს ჩემი ნათელი ხედვა სასამართლო რეფორმირებასთან დაკავშირებით, აუცილებელია, რეფორმირება იმ სასამართლოსი, რომელიც დღეს მოქმედებს და ჩემდა გასაოცრად იმის ნაცვლად, რომ „ქართულ ოცნებას“ სასამართლოს რეფორმა განეხორციელებინა, ხელფასები მოუმატეს იმ მოსამართლეებს, რომელთაც პოლიტიკური დაკვეთები აქვთ შესრულებული და რომელთა წყალობით ათასობით უკანონო პატიმარი გვყავს“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი შეფასებით, მოსამართლეთა შერჩევა სწორ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს და მოსამართლე პოლიტიკური დაკვეთის შესრულების შემთხვევაში, თავს სამუდამოდ დაცულად არ უნდა გრძნობდეს.

პრეზიდენტობის კანდიდატი მიიჩნევს, რომ დაცვის და ბრალდების მხარეს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ და დაზარალებულის უფლებები ყოველთვის დაცული უნდა იყოს.

**ნიუსპრესი**

2013, 24 ოქტომბერი, №252

# ბიძინა ივანიშვილი: „გაოცებული ვარ რუსეთის პოზიციით“

## „მე და სააკაშვილი, პრაქტიკულად, ერთდროულად ვტოვებთ პოლიტიკას“

**ნათია ხურცილავა**

საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო უწყების ხელმძღვანელები იმყოფებიან. კარლ ბილტმა და რადოსლავ სიკორსკიმ გუშინ შეხვედრა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა გამართეს.

ივანიშვილის განცხადებით, მინისტრებს აქვთ წუხილი და განცდა იმისა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი დიდხანს არ გაგრძელდეს.

კარლ ბილტდთან და რადოსლავ სიკორსკისთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა.

– მათ აქვთ წუხილი და განცდა იმისა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი დიდხნას არ გაგრძელდეს და ახალი დაპატიმრებები არ მოხდეს. ამაში მეც ვეთანხმები. ჩვენი ინტერესი არ არის, რომ ჩვენ მუდამ უკან ვიყურებოდით და მხოლოდ სასჯელზე ვფიქრობდეთ. ჩვენი მიზანია, რომ მთელი საქართველო გავერთიანდეთ და დავაჩქაროთ წინსვლა პროგრესისკენ და ევროპისკენ. ამ მხრივ ჩვენი ხედვები არ განსხვავდება და თანხვედრაში მოდის. – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს იმ დახმარებისთვის, რასაც ისინი საქართველოს მისამართით იჩენენ, მადლობა გადაუხადა.

– იმაში გვქონდა თანხვედრა, რომ უნდა მოვახერხოთ, გავერთიანდეთ და მშენებლობით ევროპული წინსვლა მოვახერხოთ, თუმცა ისე არ გაიგოთ, რომ მე რაიმე გარანტიები ან პირობები დავდე, მე მათ სიტუაცია კარგად ავუხსენი. – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერის თქმით, მასა და პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს ხედვებს შორის სხვაობა არის ის, რომ მათ ნაკლებად იციან საქართველოს შიდა სიტუაცია.

– ეს ნორმალურიცაა, მე ვცდილობდი, მეჩვენებინა, რომ საზოგადოებაში სამართლიანობის განცდაა, რომელიც მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ და ამაში შევთანხმდით. ჩვენ შეხვედრა ერთ ნოტაზე დავასრულეთ, ნაკლები უნდა ვიყუროთ უკან, უფრო მეტი და წინ, უფრო ნაკლები გვქონდეს აგრესიისა და შურის განცდა და უფრო მეტი – შერიგების და თანადგომის. – განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, საუბარი რუსეთის ფაქტორს და ვილნიუსის სამიტსაც შეეხო.

– იქაც მე მგონი თანხვედრაში მოვედით, საინტერესო იყო უკრაინის ხელმოწერის პროცესიც, ვილნიუსის სამიტი ჩვენი უახლოესი გამოწვევაა და ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა ამ სამიტისთვის მზადაა. – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განცხადებით, რომ მისი აზრით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება რუსეთთან ურთიერთობებს არ გაართულებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ევროპისკენ სწრაფვას დააჩქარებს.

– რეალურად ვაჩვენებთ ევროპას, რომ ჩვენ მისი ნაწილი ვართ. თვითონ პროცესი იქნება ასეთი. ვარწმუნებ საზოგადოებას, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევით ევროპისკენ სწრაფვას გავაძლიერებთ და დარწმუნებული ვარ, ამაში მონაწილეობას ოპოზიციაც მიიღებს. – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.



პრემიერ-მინისტრი არ ფიქრობს, რომ საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება რუსეთთან ურთიერთობებს გაართულებს.

– გავიმეორებ, რომ გაოცებული ვარ რუსეთის პოზიციით, რომელიც თითქოს ევროკავშირის საწინააღმდეგო პოზიციას ამჟღავნებს. იმედი მაქვს, რომ რუსეთი საუკეთესო გაერთიანებისკენ სწრაფვას თავადაც დაიწყებს და თავადაც გაუჩნდება ევროკავშირში გაერთიანების სურვილი. – განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც აღვნიშნეთ, სიკორსკის და ბილდტს საქართველოს სტაბილურობასთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვები რჩებათ.

ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, ეს ნორმალურია, რადგან 2 გამოკვეთილი ლიდერი – თვითონ და მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკას პრაქტიკულად, ერთდროულად ტოვებენ.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რადოსლავ სიკორსკისთან და კარლ ბილდტთან შეხვედრის ძირითადი თემა საპრეზიდენტო არჩევნები იყო.– მათ ეჭვი არ აქვთ, რომ არჩევნებზე შეიძლება, რაიმე ელემენტარული გაუგებრობა მოხდეს. აქვთ ინფორმაცია, რომ წინასაარჩევნო პროცესები ნორმალურ სიტუაციაში მიმდინარეობს და ყველა კანდიდატს თანაბარი პირობები აქვს. ყველა ერთად ვიმედოვნებთ, რომ ეს ევროპული არჩევნები იქნება. – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს არჩევნების შემდგომი პერიოდიც აინტერესებდათ.

– გადაამოწმეს, რას ვაპირებ, როგორ ვხედავ პროცესებს და იქნება თუ არა საქართველოში სტაბილური სიტუაცია. მე მგონი, მოვახერხე, დამერწმუნებინა, რომ სიტუაცია სტაბილური იქნება, თუმცა მათ გარკვეული ეჭვები რჩებათ და ეს ნორმალურია, რადგან ორი გამოკვეთილი ლიდერი – მე და სააკაშვილი, პრაქტიკულად, ერთდროულად ვტოვებთ პოლიტიკას. სააკაშვილი 17-ში, მე კიდევ ინაუგურაციის შემდეგ დაახლოებით, ერთ კვირაში პრემიერ-მინისტრის პოსტს დავტოვებ. – განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეაფასა, საქართველოში ნორმალური საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს, რომელიც ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება საქართველოს განვითარების საკითხში ახალი თავი იქნება.

მისივე თქმით, ეს დასაწყისია დიდი გზისა და ევროპის თვალები საქართველოსკენ იქნება მიმართული.

– ჩვენ ზოგად წუხილზე ვისაუბრეთ, რომელიც გაგვაჩნია. მიგვაჩნია, რომ უკრაინის მხრიდან შეცდომებიც იყო დაშვებული. რაც შეეხება საარჩევნო კამპანიას, ნორმალურად მიმდინარეობს და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაშია. ჩვენ აქ ვართ, როგორც საქართველოს მეგობრები. ქვეყანამ ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების ბევრი ფაზა გაიარა. ყველა გზა მინახავს და მომავალშიც თქვენს გვერდით ვიქნებით. – განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რადოსლავ სიკორსკისთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართული ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

სტუმრებმა მასპინძელს, ამ შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრს ურჩიეს, რომ საქართველომ უკრაინის მიერ დაშვებული შეცდომები არ უნდა გაიმეოროს.

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის განცხადებით, წინასაარჩევნო გარემო საქართველოში ნორმალურად მიმდინარეობს.

– ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით საქართველოს, როგორც პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველომ არ უნდა გაიმეოროს უკრაინის მიერ დაშვებული შეცდომები. ქვეყნის წინსვლა და წინ ყურება აუცილებელია თითოეული ჩვენგანისთვის. ახლა საარჩევნო კამპანიის ბოლო ფაზაშია საქართველო და აღვნიშნეთ, რომ პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს და იმ სტანდარტს შეესაბამება, რომლებსაც ჩვენ ველით. აქ ვიმყოფებით როგორც საქართველოს მეგობრები და ეს მეგობრობა წლებია, გრძელდება. თქვენი ქვეყნის შემდგომი და ეკონომიკური განვითარების პროცესშიც გარწმუნებთ, რომ თქვენ გვერდით ვიქნებით. – განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

რადოსლავ სიკორსკიმ კი აღნიშნა, რომ საქართველო წარმატებული ქვეყნის მაგალითი უნდა იყოს და ეს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საუკეთესო გზა იქნება.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რადოსლავ სიკორსკის განცხადებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საუკეთესო გზა ისაა, რომ საქართველო წარმატებული ქვეყნის მაგალითი და ევროპასთან ასოცირებული სახელმწიფო იყოს.

– ვდგავარ ამ ულამაზეს ქალაქში, ამ საოცარ ადგილას, ადამიანის გვერდით, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტს ნებაყოფლობით ტოვებს, ეს უპრეცედენტოა. ბევრი რამ შეიცვლება, არა მარტო პიროვნებები – პრეზიდენტი და პრემიერი, არამედ კონსტიტუციაც. ვეთანხმები პრემიერს, რომელიც ამბობს, რომ ქვეყანა ევროპული საზოგადოების წევრი უნდა გახდეს. ამასთან, ოპოზიცია პოლიტიკური სისტემის ნაწილია დემოკრატიულ სამყაროში. მნიშვნელოვანია ხარისხი, თუ როგორ ხდება ერთი მთავრობიდან მეორეში გადასვლა. მნიშვნელოვანია, რომ მომავალშიც მოხდეს ამ პრინციპების დაცვა. – განაცხადა სიკორსკიმ.

# ევროკავშირი საქართველოს დააკვირდება

**ნათია ხურცილავა**



საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ მაია ფანჯიკიძე და ალექსი პეტრიაშვილი ევროპული საგარეო სამსახურის ხელმძღვანელს გუნარ ვიგანდს შეხვდნენ.

შეხვედრის შემდეგ მინისტრებმა პრესისთვის კომენტარი გააკეთეს.

– ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ პარაფირების შემდეგ ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა მოხდეს. – ამბობს ფანჯიკიძე.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახურის რუსეთის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური აზიის, რეგიონული თანამშრომლობისა და ეუთო-ს დირექტორატის ხელმძღვანელთან გუნარ ვიგანდთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, ქართული მხარე ამაყობს იმით, რომ ერთ თვეში ვილნიუსის სამიტზე ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდება.

– პარაფირებამდე ეს ვიგანდთან ბოლო შეხვედრა იყო, რაც კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ საქართველომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყველაფერი სწორად გააკეთა იმისთვის, რომ ამ ხელშეკრულების პარაფირება მოხდეს. ჩვენ უკვე ტექნიკურ დეტალებზე ვლაპარაკობდით, თუ როგორ უნდა გაიმართოს ცერემონია და ასე შემდეგ. გარდა ამისა, იქ იქნება პოლიტიკური დეკლარაცია და ამ დეკლარაციის შესახებაც ვილაპარაკებთ, თუ რა არის ჩვენი სურვილი, რა პუნქტები უნდა შევიდეს დეკლარაციაში. – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, ევროკავშირი საქართველოს დააკვირდება, რადგან ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ მომავალი წლის სექტემბერში ხელმოწერა შედგეს.

– ჩვენ არა მარტო დაგვაკვირდებიან, არამედ მჭიდროდ და ინტენსიურად ვითანამშრომლებთ ერთმანეთთან იმისთვის, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით შესრულდეს, ამიტომ ჩვენ საშინაო დავალებებზე ვართ კონცენტრირებული. – აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

პეტრიაშვილის შეფასებით კი სულ უფრო ნაკლებად გაისმის საუბრები შერჩევით სამართალზე და ამ საუბრებსაც ძალიან მალე წერტილი დაესმება.

ასე განუცხადა ჟურნალისტებს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის რეზოლუციის პროექტის შესახებ საუბრისას პეტრიაშვილმა.

# დავით ლილუაშვილი: „ივანიშვილი მემკვიდრედ სუსტ პოლიტიკოსს დაასახელებს“

**დასაწყისი მე-4 გვერდზე**

თებულ ნაცმოძრაობას, თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდა; ან რას იზამს თვითმმართველობებში, სადაც მეტ-ნაკლებად დომინანტი ძალა კვლავ ნაცმოძრაობაა?! ძველი და ახალი ხელისუფლების პირობებში ასევე მსგავსებაა იმაშიც, რომ დღევანდელი ხელისუფლება იყენებს აგრესიულ და იმპერატიულ ტონს. ეს კარგად ჩანს მათ მიერ გაკეთებულ განცხადებებში. ეს ამომრჩევლის ნების თავისუფლებაზე ზეწოლას ჰგავს. აბა, დავუკვირდეთ, პრემიერ-მინისტრის ანდა მარგველაშვილის განცხადებებს, რომ მეორე ტური არ იქნება და ან სასურველი მაჩვენებლის ვერმიღების შემთხვევაში, მარგველაშვილის მეორე ტურში მონაწილეობის არმიღებას, ეს ყოველივე, არის თუ არა ზეწოლა და შანტაჟი ამომრჩეველზე?!

***– რატომ არ ისმის დღეს საარჩევნო სიის მიმართ პრეტენზიები მმართველი კოალიციიდან? საპრეზიდენტო არჩევნები ხომ კაციტაძის ათასგზის გაკრიტიკებული სიებით ტარდება?***

– როცა „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები ოპოზიციაში იყვნენ, კარგად მახსოვს მათი მწვავე განცხადებები და მძაფრი კრიტიკა ამომრჩეველთა ერთიან სიებთან დაკავშირებით, რომ გაბერილია ეს სიები; რომ ასიათასობით ამომრჩეველი ამ სიებით უკვე ჯიბეში უზის ნაცმოძრაობას; რომ ამ სიებით შესაძლებელია არჩევნების გაყალბება და ა.შ. ასევე მახსოვს მათი პრეტენზიები საარჩევნო ადმინისტრაციის არადემოკრატიული პრინციპით და წესით დაკომპლექტების შესახებ; რომ კატეგორიული მოთხოვნა იყო შეცვლილიყო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი. მაგრამ, როცა მოვიდნენ ხელისუფლებაში, სიებშიც და საარჩევნო ადმინისტრაციაშიც არსებული პრობლემები დაავიწყდათ. უფრო მეტიც, როგორც ქვეყანაში არის ორხელისუფლებიანობა, ასევე ამჟამად საარჩევნო ადმინისტრაციაშიც მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, იქაც კოჰაბიტაციას აქვს ადგილი.

***– მეორე ტურის ალბათობას როგორ უყურებთ? შეიძლება მართლაც დავდგეთ მსგავსი ფაქტის წინაშე და დღეს ამ მხრივ, ვის რა შანსი აქვს?***

– ვფიქრობ, მეორე ტური გარდაუვალი იქნება. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, საზოგადოებაში ხელისუფლების დამსახურებით გაჩენილი ნიჰილიზმია და, მეორეს მხრივ, სუსტი სახელისუფლებო კანდიდატი. ფაქტია, მარგველაშვილს არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ქარიზმაზე და ლიდერის თვისებებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ასევე დამაფიქრებელია წინასაარჩევნოდ ჩატარებული კვლევები, სადაც კანდიდატებთან დაკავშირებული სარეიტინგო კვლევები, სადაც მარგველაშვილის პროცენტული მაჩვენებელი ერთი გამონაკლისის გარდა, ძალიან დაბალია ანუ 50%-ს პლუს ერთ ხმაზე ნაკლები. ამიტომ მგონია, მეორე ტური აუცილებლად იქნება. საბოლოო კონკურენცია მარგველაშვილსა და ბურჯანაძეს შორის შედგება. თუ მარგველაშვილს დივიდენდად ივანიშვილის მხარდაჭერა აქვს, ბურჯანაძე პოლიტიკური და სახელმწიფო მართვის გამოცდილებით უპირატეს მდგომარეობაშია მასთან შედარებით, თან ბურჯანაძეს სერიოზული მზარდი რეიტინგი აქვს. რაც შეეხება ბაქრაძეს, მისი პოლიტიკური კუთვნილებიდან გამომდინარე, რომელიც უკავშირდება სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმსა და ნაცმოძრაობას, რომელიც ასოცირდება ციხებთან, ჯალათებთან და მკვლელებთან, არანაირი შანსი არ აქვს მოხვდეს მეორე ტურში და მით უფრო, არჩევნებზე გავიდეს მეორე ადგილზე. ნაციონალურ მოძრაობას და მის საპრეზიდენტო კანდიდატს ვერანაირი მეტამორფოზა ვერ უშველის. რა მნიშვნელობა აქვს იმას, როგორი სახე ექნება, ის ხომ მაინც ყოველთვის ბოროტებად დარჩება.

# „ხურჩის ტერაქტის მსგავსი სცენარები გასულ წლებში მრავლად იყო“

**დასაწყისი მე-3 გვერდზე**

დაწყების დროს უკვე ადგილზე იმყოფებოდნენ, ან – ძალიან მალე მოვიდნენ და საპასუხო ცეცხლი გახსნეს. უმოკლეს ხანში მათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები შეუერთდნენ. სოფელი ხურჩა მდებარეობს დემილიტარიზებულ ზონაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული სამხედრო განაყოფები იქ არ არიან განლაგებულები; 2. ადგილზე იმყოფებოდნენ დიდი რაოდენობით ტელეჟურნალისტები, რომლებსაც ფაქტობრივად წინასწარ დადგმული მედიაშოუ უნდა გადაეღოთ; 3. ენგურს გაღმიდან გადმოყვანილი ამომრჩევლები საარჩევნო უბანზე კი არ წაიყვანეს, არამედ სტადიონზე, სადაც უამრავი ჟურნალისტი იმყოფებოდა; 4. ყუმბარები ქართველების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან იყო ნასროლი უმოკლესი მანძილიდან.

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა რეკომენდაციით მიმართეს მაშინდელ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაეწყო ძირეული და დამოუკიდებელი გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და დაედგინა აფეთქებაში მონაწილე პირები. 2008 წლის დეკემბერში ადამიანის უფლებათა ცენტრმა ხურჩის ინციდენტს სპეციალური ანგარიში მიუძღვნა. ეს თემა ასევე მოხვდა სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგარიშებში, მათ შორის ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ანგარიშში. სამწუხაროდ, ამ მიმართვებსა და ანგარიშებზე შსს-ს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია და მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მოხერხდა ხურჩის ინციდენტის გადაფასება, – აცხადებს ადამიანის უფლებათა ცენტრი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი იმედოვნებს, რომ მსგავსი პროვოკაციები და ინციდენტები წარსულს ჩაბარდა, მით უფრო – არჩევნების დღეს. ორგანიზაცია აკვირდება 27 ოქტომბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელსაც ცენტრის სახელით ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის წარმომადგენლებიც დააკვირდებიან, მათ შორის – ოგე ბორჩგრევინკი, რომელმაც 2008 წლის 22 მაისს ხურჩაში ცხელ კვალზე მოიძია მომხდარი ინციდენტის გარემოებები.

# ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმის შემსწავლელი კომისიის წევრები პანკისის ხეობაში ჩავლენ

ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმის შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისიის წევრები ახლო მომავალში პანკისის ხეობაში ჩავლენ – აღნიშნული გადაწყვეტილება კომისიის წევრებმა გუშინ გამართულ პირველ სხდომაზე მიიღეს, სადაც კომისიის სამოქმედო სტრატეგია იქნა წარდგენილი. კომისიის ხელმძღვანელის, სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, კომისია პანკისის ხეობაში, ლაფანყურშიც ჩავა და სპეცოპერაციის შედეგად დაზარალებულების ახლობლებს, ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე, ყველა იმ პირს გაესაუბრება, რომელსაც აღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებით რაიმე სახის ინფორმაცია ან ამ მოვლენებთან რაიმე შეხება აქვს. კომისიის მომდევნო სხდომა, დაახლოებით, სამ კვირაში გაიმართება.

ხელმძღვანელის გარდა, საზოგადოებრივ კომისიას 11 წევრი ჰყავს, მათ შორის არიან – ექსპერტები, იურისტები და პანკისის ხეობის უხუცესები. საბჭოს წევრების განმარტებით, მათი მუშაობის ძირითადი მიზანი, 2012 წლის აგვისტოში სოფელ ლაფანყურში განვითარებულ მოვლენებზე ინფორმაციის მოძიება და ფაქტების დოკუმენტირებაა, რათა პასუხი გაეცეს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს. საბოლოო დასკვნას კომისიის წევრები პროკურატურას მიაწვდიან.

**ნიუსპრესი**

# შსს-მ გაუჩინარებული სალომე დუნდუა და სანდრო მგალობლიშვილი იპოვა



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს აბაშის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა უგზო-უკვლოდ დაკარგული სალომე დუნდუა იპოვეს. სალომე დუნდუა აბაშის რაიონის სოფელ მარანში საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან 18 ოქტომბერს გავიდა და აღარ დაბრუნებულა. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა სამძებრო ღონისძიებები იმავე დღეს დაიწყეს და სალომე დუნდუას ნათესავის საცხოვრებელ სახლში, გონიოში გუშინ მიაკვლიეს.

ორი დღის წინ გორიდან გაუჩინარებულ 15 წლის სანდრო მგალობლიშვილს კი, ასევე, ნათესავების სახლში, რაჭაში მიაკვლიეს.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი ალასანია: საქართველო აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი, გადაწყვეტილება ნატო-ს პრაქტიკულად მიღებული აქვს



ნატოს შტაბ-ბინაში, აისაფში მონაწილე ნატო-ს წევრი და არაწევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრა გაიმართა. სხდომას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დაესწრო.

შეხვედრა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა გახსნა და ავღანეთის ეროვნული ძალებისთვის ქვეყნის მასშტაბით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის გადაბარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„ამ დროისთვის ადგილობრივი ძალებისთვის უსაფრთხოების გადაბარების პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ავღანეთის სტაბილურობა ჩვენთვის კვლავ აქტუალურია. დღეს ჩვენ ვგეგმავთ, თუ როგორ გაგრძელდება ნატო-ს ახალი მისია და რა სახით გავუწევთ დახმარებას ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს 2014 წლის შემდეგ“ – განაცხადა რასმუსენმა.

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით საქართველოს თავდაცვის მინისტრმაც მიმართა. თავდაცვის უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, ირაკლი ალასანიამ კიდევ ერთხელ გაახმოვანა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, ქართული კონტინგენტის მისიაში 2014 წლის შემდეგ მონაწილეობის გაგრძელების შესახებ.

„ნატო-ს მინისტრებთან გამოსვლაზე ჩვენმა დელეგაციამ ხაზი გაუსვა საქართველოს მონაწილეობას ნატო-ს მომავალ ოპერაციაში. კოლეგებს ჩვენი ხედვა გავაცანით, თუ როგორ წარმოგვიდგენია საქართველოს მონაწილეობა ავღანეთისთვის მხარდაჭერის ოპერაციაში“ – განაცხადა ალასანიამ. გარდა ამისა, მისი თქმით, ბრიუსელში გამართულ ორმხრივ შეხვედრებზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე პროგრესსა და რეფორმებს შეეხო საუბარი.

ნატოს შტაბ-ბინაში, თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში, ალასანია უცხოელ კოლეგებთან ორმხრივ შეხვედრებს მართავს. იგი უკვე შეხვდა პორტუგალიისა და საბერძნეთის თავდაცვის მინისტრებს. დაგეგმილია შეხვედრები რუმინელ და ალბანელ კოლეგებთან.

**ნიუსპრესი**

# რა იწვევს ტყვიით მოწამვლას

მერი ნამორაძე

**თუ თქვენს შვილს ყურადღების კონცენტრირება უჭირს, ინტელექტის შეფასების ტესტებში დაქვეითებული მაჩვენებლები აქვს, ჰიპერაქტიურია და კოორდინაციაც გაძნელებული აქვს, ტყვიით მოწამვლა არ უნდა გამორიცხოთ. როგორც დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსმა, ნანა გაბრიაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, სიმპტომების ჩამონათვალი სწორედ ტყვიით მოწამვლას ახასიათებს.**

**ნანა გაბრიაძე:**

– დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მიმდინარე წლის 20-26 ოქტომბერს მონაწილეობას იღებს ტყვიით მოშხამვის პრევენციის საერთაშორისო კვირეულში, რომელიც იმართება ტყვიის ელიმინაციის გლობალური ალიანსისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით. საქართველო პირველად ღებულობს მონაწილეობას აღნიშნულ ყოველწლიურ კვირეულში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით გლობალურ დაავადებათა ტვირთის 0.6%-ი ტყვიის ზემოქმედებითაა გამოწვეული და განსაკუთრებით მაღალი პროცენტი აღინიშნება განვითარებად ქვეყნებში.

– კიდევ რა შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს ეჭვი ტყვიით მოწამვლაზე, რომელ სიმპტომებს უნდა მიაქციონ მშობლებმა ყურადღება?

– შესაძლოა გამოხატული იყოს დაქვეითებული მეტყველებითი უნარები, კითხვის სირთულეები, ქცევითი პრობლემები, დაბალი მოსწრება სკოლაში, ზრდისა და განვითარების დარღვევა. ტყვია წარმოადგენს კარგად ცნობილ მაღალტოქსიკურ მეტალს, რომლის ფართო გამოყენებამ საფრთხე შეუქმნა ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს. ტყვიით მოწამვლა იწვევს ფსიქიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებას, კრუნჩხვით გულყრებს და სხვა პათოლოგიის განვითარებას, ინტელექტუალური ფუნქციების დაქვეითებას, ჰიპერაქტიურობას და ქცევის დარღვევებს. ბავშვს შეიძლება არ ჰქონდეს გამოხატული ტყვიით მოწამვლის აშკარა სიმპტომები, ამიტომ ტყვიით მოწამვლის შემთხვევები ხშირად შეუმჩნეველია და მკურნალობის გარეშე რჩება.



– საქართველოში თუ არსებობს სტატისტიკა ტყვიით მოწამვლის ფაქტების შესახებ?

– საქართველოში რაიმე შეფასება ან კვლევა, რომელიც დაადასტურებს ტყვიის მავნე გავლენას ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე, არ ჩატარებულა, შესაბამისად არ გაგვაჩნია სტატისტიკაც. აშშ და სხვა განვითარებულ ქვეყნებში წარმოებს ბავშვების სისხლში ტყვიის კონცენტრაციის საყოველთაო შემოწმება და პირველადი სკრინინგი პრევენციის მიზნით.

– მაინც რიგორ ხვდება ტყვია ჩვენს ორგანიზმში?

– საღებავები, რომელთაც იყენებენ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის – სახლების, კედლების, ავეჯის, სათამაშოების შესაღებად, სხვადასხვა დოზით შეიცავს ტყვიას. ზოგიერთ ქვეყნებში 1970 წლის შემდეგ საღებავების წარმოებისას არ გამოიყენებენ ტყვიას, მაგრამ ტყვიის შემცველი მტვერი ბავშვის ორგანიზმში მაინც ხვდება მანამდე აშენებული შენობებისა და ავეჯის ზედაპირიდან. დღესდღეობით ტყვიის შემცველი საღებავები სკოლამდელი ასაკის ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის მომატების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად რჩება. ბავშვების ტყვიით მოწამვლას იწვევს ასევე ტყვიის შემცველი საღებავებით შეღებილი სათამაშოების ღეჭვა, შეღებილი საწოლების მოაჯირების პირით შეხება, საღებავის მტვრის ინჰალაცია და ა.შ.

ტყვიის შემცველობის დონე სისხლში საგრძნობლად შემცირდა მას შემდეგ, რაც მოხდა ტყვიის გამოყენების შემცირება ისეთ პროდუქტებში, როგორიცაა ბენზინი, საღებავები, სანტექნიკაში გამოყენებულ სხვადასხვა შენადნობი. თუმცა დღეს ტყვიის ექსპოზიციის ბევრი წყაროა დარჩენილი, განვითარებად ქვეყნებში. მომავალში დიდი ძალისხმევაა საჭირო ტყვიის გამოყენებისა და გარემოში გამოყოფის შესამცირებლად, მისი ეკოლოგიური და პროფესიული მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით ბავშვებისა და რეპროდუქციული ასაკის ქალების დასაცავად. ტყვიის ელიმინაციის გლობალური ალიანსისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით გამართული ცნობიერების ამაღლების კვირეულის მიზანია ყველა ქვეყანამ საკანონმდებლო დონეზე უარი თქვას 2020 წლისათვის ტყვიის შემცველი საღებავების გამოყენებაზე, უკვე 30 ქვეყანამ ეტაპობრივად უარი თქვა, ხოლო შუალედური მაჩვენებელი 2015 წლისათვის მიაღწევს 70-ს.

– რა უნდა გააკეთოს მშობელმა, რათა დაიცვას ბავშვი ტყვიით მოწამვლისაგან?

– სასურველია ყოველკვირეულად გაწმინდოთ სველი წესით იატაკი, კარ-ფანჯარა. მიზანშეწონილია ხშირად გაირეცხოს ბავშვის სათამაშოები. მშობელმა უნდა მიაჩვიოს ბავშვი, ქუჩიდან ან ეზოდან სახლში მოსვლისას დაიბანოს ხელი. უნდა მოვერიდოთ საკვების ყიდვას რკინის კონსერვებში. სასურველია ბავშვმა მიიღოს რკინით, კალციუმითა და ცილებით გამდიდრებული საკვები, რადგან ისინი ზრდიან ტყვიისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობას;

ბავშვს მოუმზადეთ ნაკლებ ცხიმიანი საკვები, რადგან ცხიმიანი საჭმელი ხელს უწყობს ბავშვის საჭმლის მომნელებელ სისტემაში ტყვიის დიდი ხნით შენარჩუნებას;

პერიოდულად უნდა ჩაუტარდეთ მოზარდებს სისხლის ანალიზი ტყვიის კონცენტრაციაზე, განსაკუთრებით, თუ ცხოვრობთ ინდუსტრიულ ან ტრანსპორტით გადატვირთულ რაიონში. სისხლის ანალიზი კეთდება უკვე 6 თვის ასაკიდან, როდესაც სისხლში ტყვიის დონე მომატებას იწყებს. შედარებით დაბალი რისკის რეგიონში კი ტყვიის შემცველობაზე სისხლის ანალიზი შეიძლება 1-1.5 ასაკიდან ჩატარდეს.

დედის ორგანიზმში ტყვიის მომატებული შემცველობა გავლენას ახდენს ნაყოფის განვითარებაზე. ამიტომ, აუცილებელია დედის სისხლის ანალიზი. ფეხმძიმობის დროს ქალი უნდა მოერიდოს მუშაობას წარმოებაში, სადაც ტყვიით მოწამვლის რისკია. უნდა მოვერიდოთ ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩებში ფეხით სიარულს. უნდა მოვსთხოვოთ გარემოსდაცვით ორგანიზაციებს, გაააქტიურონ მოქმედება ტყვიით გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგოდ და აქტიურად ჩავებათ ტყვიის შემცველი საწვავის გაყიდვის აკრძალვის ღონისძიებებში.

თუ თვლით, რომ თქვენს შვილს შეიძლება ტყვიით მოწამვლა ჰქონდეს, მიმართეთ ექიმს. მოითხოვეთ ტყვიის შემცველობაზე სპეციალური სისხლის ანალიზი. თუ ანალიზმა უჩვენა ტყვიის დასაშვებზე მეტი კონცენტრაცია, ექიმი ბავშვს დაუნიშნავს შესაბამისი მკურნალობის კურსს.

ასევე არსებობს გარკვეული მონაცემები, რომ ტყვიის ხანგრძლივი პროფესიული ექსპოზიცია ხელს უწყობს კიბოს განვითარებას. კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტომ არაორგანულ ტყვიის ნაერთებს მიანიჭა ადამიანისათვის კანცეროგენულის კლასიფიკაცია, რაც ნიშნავს, რომ მტკიცებულებები კანცეროგენულობის შესახებ ადამიანებში ლიმიტირებულია, ხოლო ექსპერიმენტალ ცხოველებში საკმარისია.

დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ინფორმირებას ტყვიის შემცველი პროდუქტების არასწორი გამოყენების შემთხვევაში საფრთხეების შესახებ. საქართველოში მწირია მოსახლეობისათვის ტყვიისა და მისი ნაერთების შემცველი საღებავებისა და სხვა სახის პროდუქციის გამოყენების წესებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკების ინფორმირების მთელი სისტემა. მხარი უნდა დაეჭიროს პროფილაქტიკურ და საგანმანათებლო ღონისძიებებს პატარა ბავშვების დასაცავად, რათა ავიცილოთ მათ გარემოში ტყვიაშემცველი მასალების მოხვედრა.

# „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობის ხარჯები განახევრდება

მერი ნამორაძე

„ცე“ ჰეპატიტის დიაგნოზი, სასიკვდილო განაჩენი შეიძლება აღარ გახდეს, რადგან ჯანდაცვის მამების დაპირებით მკურნალობის საფასური ლამის ნახევრდება. ეს დიაგნოზი პაციენტისგან ათობით ათასი ლარის მოძიებას მოითხოვდა სიცოცხლის გადასარჩენად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად. ათიოდე წლის წინ რომ მოგეკითხათ, რატომ არ ფიქრობდა სახელმწიფო „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობის თანადაფინანსებაზე მაინც, როცა დაავადების გავრცელების მასშტაბები კატასტროფული იყო (არც დღეს არის ეს მაჩვენებლები სახარბიელო), პასუხად მაშინდელი ჯანდაცვის მამებისგან მიიღებდით – ვიღაცამ იკაიფოს და მერე მის გამოჯანმრთელებაზე სახელმწიფომ თანხები ხარჯოს, ალოგიკურიაო! განწყობები და დამოკიდებულება დღეს რადიკალურად შეცვლილია, განსაკუთრებით პატიმრების მიმართ.

საპატიმროებში „ცე“ ჰეპატიტით დაავადებულთა მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო სრულად აიღებს საკუთარ თავზე. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ „პირველის“ პრესკლუბში განაცხადა, „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობას პატიმრებისთვის სახელმწიფო დააფინანსებს. ამ პროექტის შესახებ ჯერ კიდევ მაისში გაცხადდა და 1 სექტემბერს დაიწყო. პროექტი გულისხმობს, რომ პატიმრებისთვის „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობის ხარჯების სახელმწიფოს მიერ გაღებას.

– პატიმრები ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოწყვლადი ჯგუფია, მათში დასნებოვნების პროცენტი ძალიან დიდია. ამავე დროს, მათ ნულოვანი შესაძლებლობა აქვთ, თავისი ხარჯებით იმკურნალონ. ამ პროექტმა შესაძლებლობა მოგვცა, რომ ფასის დაწევა გავრცელებულიყო არა მხოლოდ პატიმრებზე, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაზეც. ახლა უკვე ფინალიზაცია მიდის, იმედი გვაქვს, გვექნება საბოლოო კონტრაქტები მომწოდებლებთან, თუმცა წინასწარი ელექტრონული ტენდერები ძალიან ოპტიმისტურია, შეიძლება, ჩვენ ყველაზე ცოტა, ფასის განახევრებას მივაღწიოთ. დღეს-ხვალ საბოლოო ფასები გვეცოდინება. იგივე ფასები გავრცელდება მოსახლეობაზეც, არა მხოლოდ პატიმრებზე, – განაცხადა მინისტრმა.

ჯერჯერობით კვლავ არ მოიაზრება, რომ სახელმწიფო დააფინანსებს მკურნალობას მოქალაქეებისათვის. მინისტრის თქმით, სახელმწიფომ მისცა მათ შესაძლებლობა, ბევრად იაფად შეეძინათ ეს წამალი.

– რამდენჯერაც შემცირდება ფასი მოლაპარაკების შედეგად, სხვაგვარი ინტერპრეტაციით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ იგივე რაოდენობის თანხით ამოუდგება მხარში სახელმწიფო ამ პაციენტებს, – განმარტა მინისტრმა.



# 27 ოქტომბერს საქართველო ახალი ტიპის პრეზიდენტს აირჩევს

შორენა გონგლაძე

**რამდენიმე დღეში საქართველოს ამომრჩეველი ახალ პრეზიდენტს აირჩევს, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი იქნება.**

ეს არის პირველი შემთხვევა საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში, როცა მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის მეორე და საბოლოო ვადას სრულად ამოწურავს და არჩევნების გზით მას ახალი პრეზიდენტი შეცვლის. 27 ოქტომბრის არჩევნები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს ელექტორატი სრულიად ახალი ტიპის პრეზიდენტს ირჩევს, რადგან ქვეყანა ძლიერი საპრეზიდენტო მოდელიდან საპარლამენტო ტიპის შერეულ მოდელზე გადადის. აღნიშნულ ინფორმაციას სააგენტო ცივილ.გე ავრცელებს. როგორც გამოცემა წერს, ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან ძალაში შედის სამი წლის წინ მიღებული ახალი საკონსტიტუციო დებულებები, რომელიც ქვეყნის მართვის პროცესში პრემიერ-მინისტრის სამართლებრივ როლს მნიშვნელოვნად ზრდის პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე.

მართალია, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძლიერი საპრეზიდენტო მოდელის კონსტიტუცია მოქმედებდა, თუმცა რეალური ძალაუფლება, მას შემდეგ, რაც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საპარლამენტო ხელისუფლება და მთავრობა შეიცვალა, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერის, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ხელში აღმოჩნდა და პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ლიდერია, ე.წ. კოჰაბიტაციურ პერიოდში კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული არც ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი არ გამოუყენებია მოქმედი მთავრობის წინააღმდეგ. საპრეზიდენტო არჩევნებს ის დატვირთვაც აქვს, რომ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, პარლამენტმა მთავრობას ხელახლა უნდა გამოუცხადოს ნდობა.

როგორც გამოცემა წერს, ახალი კონსტიტუციური დებულებების თანახმად, პრემიერმინისტრობის კანდიდატი საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა შეარჩიოს, რომელსაც ფორმალურად პრეზიდენტი წარადგენს; პრემიერმინისტრობის კანდიდატი კი შეარჩევს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამასთან ერთად წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. პარლამენტი ახალ მთავრობას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ანუ სულ ცოტა 76 ხმით ამტკიცებს, მაშინ, როცა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას ხანგრძლივი პროცედურა სჭირდება.

ივანიშვილი აცხადებს, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თანამდებობის დატოვებას გეგმავს, ხოლო მის შემცვლელს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაასახელებს. თუ ეს გეგმა ძალაში დარჩა, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას ორი წამყვანი ფიგურა ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ფაქტიურად ერთდროულად დატოვებს.

საქართველოს ახალი პრეზიდენტის ძირითადი როლი მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობებში არბიტრის ფუნქციის შესრულება იქნება. პრეზიდენტი ქვეყნის მეთაურად, სამხედრო ძალების მთავარსარდლად და საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლად რჩება, ახალი კონსტიტუციის თანახმად, თუმცა ის აღარ წარმართავს და განახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. სახელისუფლებო კრიზისის შემთხვევაში პრეზიდენტს კვლავაც რჩება უფლება, რომ დაითხოვოს მთავრობა ან პარლამენტი. ახალი პრეზიდენტი საბიუჯეტო პროცესში აღარ მიიღებს მონაწილეობას. ახალი კონსტიტუციური დებულებებით, პრეზიდენტი თავისი ქმედებების უმეტესობას, მათ შორის სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების წარმართვისას, მთავრობასთან შეთანხმებით ახორციელებს. ამასთან, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების უმეტესობა მხოლოდ კონტრასიგნაციის ანუ პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცების შემდეგ შევა ძალაში. კონტრასიგნაცია არ დასჭირდება საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ აქტებს და ასევე იმ სფეროებში გამოცემულ აქტებსაც, სადაც პრეზიდენტს დამოუკიდებლად მოქმედების უფლება რჩება. პრეზიდენტს კვლავაც ექნება ექსკლუზიური უფლებები დანიშნოს საპარლამენტო არჩევნები და დაითხოვოს პარლამენტი, შეიწყალოს მსჯავრდებულები, გადაწყვიტოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხები, მიანიჭოს ჯილდოები და წოდებები, ხელი მოაწეროს და გამოაქვეყნოს კანონები, განსაზღვროს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობა, სახელმწიფოს სახელით დადოს კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ასევე პრეზიდენტს დარჩება უფლება, რომ პარლამენტის წინაშე წლიური ანგარიშით წარდგეს წელიწადში ერთხელ.

# მიხეილ სააკაშვილი: „არავის უნდა მივცეთ საშუალება, რომ საქართველო შიგნიდან დაასუსტოს“

შორენა გონგლაძე



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვემო ქართლის გუბერნატორ დავით კირკიტაძესთან და მარნეულის მაჟორიტარ დეპუტატ აზერ სულეიმანოვთან ერთად მარნეულის რაიონის სოფელ ალგეთში იმყოფებოდა, სადაც მოსახლეობას შეხვდა და წლების განმავლობაში არჩევნებზე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ვინც რა უნდა ილაპარაკოს, მათი მთავარი მიღწევა საქართველოში სამოქალაქო მშვიდობაა.

— ვინც რა არ უნდა ილაპარაკოს, ვისაც ვისი არჩევის მცდელობა არ უნდა ჰქონდეს, ჩვენი მთავარი მიღწევა არის საქართველოში ჩვენი სამოქალაქო მშვიდობა. ჩვენი მთავარი მიღწევა ბოლო წლებში არის ის, რომ ჩვენ აღარ ვყოფდით ადამიანებს ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით. ყველაზე დიდი საქართველო იყო დავით აღმაშენებლის საქართველო და აღმაშენებლის მთავარი ღირსება ის იყო, რომ ერთნაირად ლოცულობდა ეკლესიაშიც და მეჩეთში, ერთნაირად პატივს სცემდა საქართველოში მცხოვრებ ყველა ჯგუფის წარმომადგენელს, ეთნიკურ ქართველებსა და ყველა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებს, ქრისტიანებს და მუსლიმანებს. არ უნდა მივცეთ არავის საშუალება სამოქალაქო მშვიდობისა და განვითარების შერყევის. აქ ძალიან მშრომელი ხალხი ცხოვრობს. არავის უნდა მივცეთ საშუალება ხელის ფათურისა და საქართველოს შიგნიდან დასუსტების. ჩვენს მტერს უნდა, რომ საქართველოში მუდმივად ერთმანეთს ვებრძოდეთ. მუდმივად ერთმანეთს ვჭამდეთ. საქართველოს აღება მას იმით უნდა, რომ საქართველოს შიგნით მცხოვრებმა ხალხმა ერთმანეთი დავჭამოთ, ერთმანეთს დავერიოთ. ერთმანეთს ნიშნი მოვუგოთ, ერთმანეთის დამცირება მოვინდომოთ და მაშინ მტერი ძლიერია. წინა წლებში მტერი საქართველოში ძლიერი ვერ იყო იმიტომ, რომ ჩვენ ვიყავით ერთად და ჩვენ გერბზე ჩვენი ინიციატივით დავაწერეთ — „ძალა ერთობაშია“. კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ძალა ჩვენ ერთობაში, ერთად ყოფნაშია, გაძლიერებაშია, ამიტომ დიდი მადლობა აქ მოსვლისთვის, — განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა მათ მომავალ არჩევნებზე სწორი არჩევანის გაკეთებისკენ და არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ბედი სწორედ მათ აქტივობაზეა დამოკიდებული. მიხეილ სააკაშვილმა მოსახლეობას ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს არსებული მიღწევებიც შეახსენა.

— ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა ყოფილიყო. ვერავინ ვერ გეტყვით თქვენ, რომ არ ხართ სრულფასოვანი წევრი საზოგადოებისა. როდესაც პრეზიდენტი გავხდი, მე ვთქვი, რომ ვარ საქართველოს პრეზიდენტი, ვარ ყველა ქართველის და ნებისმიერი ეთნიკური წარმოშობის, აზერბაიჯანელის პრეზიდენტი. ვამაყობ იმით, რომ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა საქართველოში ახალგაზრდები იღებდნენ კარგ განათლებას; გავაკეთეთ ყველაფერი, რომ გზებზე თქვენ აღარ გაჩერებენ და აღარ გამცირებენ, ქრთამს აღარ გართმევენ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ მთავარია ვერავინ გაბედოს ხელის აწევა მშვიდობასა და განვითარებაზე, რასაც ის ყველაზე მთავარ მონაპოვრად მიიჩნევს. პრეზიდენტის თქმით, არასდროს ყოფილა ისეთი კარგი ურთიერთობა საქართველო-აზერბაიჯანს შორის, როგორსაც მან მიაღწია აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ერთად და ის ამაყობს ამით.

# განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ჰოლანდიამ კიდევ ერთხელ მიგვახვედრა დონე

**საქართველო – ჰოლანდია 0:1**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

0:1 სლაბკურნი (26)

**საქართველო:** გოშაძე, ქობულაძე, კაციტაძე, კაკიაშვილი, ნადარაია, მამუჩაშვილი, კომახიძე, მიქელთაძე (მიქელთაძე 60), ბიძინაშვილი (ქორიძე 41), ლაშხია (ბერიძე 4), ჯობავა

**ჰოლანდია:** ვან ბიდერენი, ვეენდორპი, ვერდონკი, ვერლო, ვან დე ბეკი, შურმანი (ვან დერ მუტი 54), სლაბკურნი, ბერენშტაინი (ოვობოვალე 60), ნური, ავესტი, ვალიანი (ვან ჰაარენი 54)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 17-წლამდე ნაკრებებს შორის, რომელსაც საქართველო მასპინძლობდა, დასრულდა. შემდეგ ეტაპზე ორი გუნდი გავიდა. ერთია, ბოლო ტურს უნდა გაერკვია, ჯგუფში რომელი ნაკრები დაიკავებდა პირველ ადგილს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წინასწარაც იყო ცნობილი – ნიდერლანდელმა 17-წლამდელებმა ქართველი თანატოლები 1:0 დაამარცხეს და ჯგუფის ღირსეული გამარჯვებულებიც გახდნენ. პატარა „ჯვაროსნებმა" კი, 2 გამარჯვებითა და 1 მარცხით ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვეს.

მიუხედავად ფარერებთან და სან მარინოსთან მოგებული თამაშებისა, ჩვენი ნაკრები ძალიან სუსტად გამოიყურებოდა, რაც ჰოლანდიასთან მატჩში გამოჩნდა კიდეც. მოედანზე ორი განსხვავებული გუნდი თამაშობდა. „ნარინჯისფერებს" აშკარად ეტყობოდათ, რომ მათ ქვეყანაში ფეხბურთი სწორად ესმით და იციან, როგორ ითამაშონ ის.

ბურთის მიღება, დამუშავება, სწორი პასი, გააზრებული შეტევა, ფიზიკური გამძლეობა, ფსიქოლოგიური მომზადება და ა. შ. ყველა ეს თვისება წარმოაჩინეს სტუმრებმა. ქართველებს კი ზემოხსენებულ სიტყვებზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. 80 წუთის განმავლობაში ერთი გააზრებული კომბინაციაც არ გვინახავს.

შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა. სლაბეკოორნმა 26-ე წუთზე 2 მცველი ადვილად მოატყუა საჯარიმოში შევიდა და მეკარეს შორეულ დაბალ კუთხეში შეაცურა – 0:1.

ორივე გუნდისთვის ეს შეხვედრა გადამწყვეტი არ იყო, ამიტომ თავისუფლად უნდა ეთამაშათ. ჰოლანდიელებს გამოსდიოდათ ეს, ქართველებს კი არა. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, კლასი მაინც თავისას აკეთებს და მოიგო მან, ვინც ამას უფრო მეტად იმსახურებდა. ნიდერლანდელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ღირსეული გამარჯვებები და დამსახურებული პირველი ადგილი მოიპოვეს. ქართველებს კი იმედი გვაქვს, ჩვენი ბიჭები შემდეგ ეტაპზე უფრო მოუმატებენ და კარგ შედეგსაც მიაღწევენ.

**მატჩის შემდეგ**

***ნოდარ აკობია, საქართველოს 17-წლამდე ნაკრების მწვრთნელი:***

– ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. ჰოლანდია ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. ჩემი ნაკრებისთვის დღევანდელი შეხვედრა ძალიან კარგი იყო იმიტომ, რომ ასეთი დონის ნაკრებთან თამაშში დიდი გამოცდილება მივიღეთ. აქ გამოჩნდა, რამდენი ხარვეზია ჩვენს გუნდში, რაც უნდა შევეცადოთ და გამოვასწოროთ. აღსანიშნავია ნიკა ლაშხიას ტრავმა, რაც სერიოზული დანაკლისი იყო. შევეცდებით, ეს შეცდომები რაც გვქონდა, შემდეგ ეტაპამდე გამოვასწოროთ, მაგრამ მეეჭვება ამაში დრომ შეგვიწყოს ხელი. დღეს თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ელემენტარულად ბურთის ერთი შეხებით გაჩერება არ შეგვიძლია. თუ საბაზისო გათამაშებას არ ვისწავლით, ტაქტიკას ვერ გამოვასწორებთ.

***მარტენ სტეკელენბურგი, ჰოლანდიის 17-წლამდე ნაკრების მწვრთნელი:***

– ძალიან კმაყოფილი ვარ საქართველოში გატარებული 10 დღით. ძალიან კარგი პირობები დაგვახვედრეს მასპინძლებმა. ჩემმა გუნდმა ყველა შეხვედრაში თავი კარგად წარმოაჩინა. დღევანდელ შეხვედრაში გვქონდა კარგი მომენტები, მაგრამ ქართველთა კარგი დაცვა უნდა გამოვყოთ.

ამავე ჯგუფში ფარერებმა სან მარინოს, გორში, „თენგიზ ბურჯანაძის" სახელობის სტადიონზე ასევე მინიმალური ანგარიშით სძლია.

ევროპის 28 ქვეყანა კონტინენტის პირველობის საგზურისთვის გაზაფხულზე ელიტრაუნდში იბრძოლებს. ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები მასპინძელ მალტასთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

ელიტრაუნდის წილისყრა ნოემბრის ბოლოს, შვეიცარიაში გაიმართება.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 17:0 | 9 |
| 2.საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| 3.ფარერები | 3 | 1 | 0 | 2 | 1:6 | 3 |
| 4.სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:16 | 0 |

# ვეტერანი და მოქმედი მთამსვლელები დააჯილდოვეს

**ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა ქართული ალპინიზმის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი დასკვნითი საიუბილეო საღამო. საღამო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და მთამსვლელთა ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა.**

ღონისძიებაზე საზეიმოდ დაჯილდოვდნენ მოქმედი და ვეტერანი მთამსვლელები, მათ შორის რამდენიმე ვეტერან სპორტსმენს – აფი გიგანს, რომან გიუტაშვილს, ბიძინა გუჯაბიძეს, ლევ სარქისოვსა და ბენო ქაშაკაშვილს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა სპორტის რაინდისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებები გადასცა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, რამდენიმე ვეტერანი მთამსვლელი წარდგენილია ღირსების ორდენზეც.

მთამსვლელობის 90 წლის იუბილეს აღსანიშნავ დასკვნით საზეიმო ღონისძიებას ვეტერანი მთამსვლელები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, მოწვეული სტუმრები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

საღამოზე, რომელიც ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს – ელგუჯა ბერიშვილს მიჰყავდა, ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი ალპინიზმის ისტორიის შესახებ, სტუმრებმა ასევე მოისმინეს მოხსენება მთამსვლელობის 90 წლიანი სპორტული ისტორიის თაობაზე.

„საქართველოს სპორტის რაინდის" წოდება მიენიჭათ:

აფი გიგანი, „თოვლის ჯიქი", ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის წევრი; რომან გიუტაშვილი, სპორტის ოსტატი, „თოვლის ჯიქი", ევერესტზე პირველამსვლელი ქართველი; ბიძინა გუჯაბიძე, „თოვლის ჯიქი", ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის წევრი; ლევ სარქისოვი, „თოვლის ჯიქი", ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის წევრი; ბენო ქაშაკაშვილი, ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი; პირველი და დღემდე ერთადერთი ქართველი, რომელმაც ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრა.

„საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის" წოდება მიენიჭათ:

ბესარიონ ბაქრაძე, საქართველოს მეკლდეურთა თითქმის ყველა შეჯიბრების მსაჯი და ერთ-ერთი ორგანიზატორი; გიორგი ბერძენიშვილი, სპორტის ოსტატი, არაერთი ალპინისტური ექსპედიციის ხელმძღვანელი; ნოდარ კანკავა, საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი; ლუიზა ნარიმანიშვილი, საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი ქალი 1960-70-იან წლებში; ზაურ ჩართოლანი, მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი; ივანე ჯაფარიძე, მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპიური კლუბის ყოფილი დირექტორი; ვლადიმერ ქურასბედიანი, მთამსვლელობაში და მეკლდეურობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ალპიური ბანაკის „ზესხოს" დირექტორი; პირიბე გვარლიანი, სპორტის ოსტატი, მიხეილ ხერგიანის ჯგუფის უცვლელი წევრი; ზურაბ კუჭავა, საქართველოს მთამსვლელთა და მეკლდეურთა ასოციაციის პრეზიდენტი.

# ვენგერს იუბილე ჩაუმწარეს

**გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მე-3 ტურის შეხვედრები. საკმაოდ საინტერესო და დაძაბულ ბრძოლებში ბევრი რამ ნათლად გამოიკვეთა.**



### ე ჯგუფი

**შალკე-ჩელსი 0:3**

0:1, 0:2 ტორესი (5,69), 0:3 აზარი (87)

ამ ჯგუფის ცენტრალური შეხვედრა, რა თქმა უნდა, გელზერკინხენში გაიმართა: „შალკემ" „ჩელსის" უმასპინძლა და ლონდონურ გრანდთან საკუთარ კედლებშივე შერცხვა.

ამ ყველაფერს საფუძველი უკვე მე-5 წუთზევე ჩაეყარა, როდესაც კუთხურიდან გათამაშებულ ბურთს თავი სწორად ფერნანდო ტორესმა დაუხვედრა და ბურთი კარში აღმოჩნდა.

სწრაფი გაშვებული გოლის მერე, რასაკვირველია, იენს კელერის გუნდს გააქტიურება მართებდა და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ცდილობდნენ შეტევებს, მაგრამ გამოსარჩევი ერთადერთი მომენტია – კევინ-პრინც ბოატენგის შორეული დარტყმა, რომელიც ჩეხმა მოიგერია.

მეორე ტაიმშიც ბურთის ფლობის უპირატესობა გელზერკინხენელთა მხარეს გახლდათ, თუმცა მთავარს სტუმრები აკეთებდნენ – ჯერ ტორესმა შეასრულა დუბლი, სადაც ოსკარმა და აზარმა დიდი სამუშაო შეასრულეს ამისთვის, მერე კი თავად ბელგიელმა შეაგდო თავისი გოლი და საბოლოო წერტილი დაუსვა შეხვედრას.

**სტიაუა-ბაზელი 1:1**

0:1 დიაზი (48), 1:1 ანგელო მარტინსი (88)

„სტიაუასა" და „ბაზელის" დაპირისპირება კი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, რომელიც ფრედ, 1:1 დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრები დაწინაურდნენ, თუმცა მატჩის მიწურულს ანგელო მარტინსმა თავისიანებს ევროპის ლიგაზე გადასასვლელი შანსი შეუნარჩუნა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| 2.შალკე | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| 3.ბაზელი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 4.სტიაუა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

### ფ ჯგუფი

**არსენალი-დორტმუნდი 1:2**

0:1 მხითარიანი (16), 1:1 ჟირუ (41), 1:2 ლევანდოვსკი (82)

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ლონდონში იმართებოდა: არსენ ვენგერის 68 წლის იუბილეზე „არსენალმა" „დორტმუნდს" უმასპინძლა და... წააგო!

მატჩი თავიდანვე სტუმართა დიდი აქტიურობით დაიწყო და რამდენიმე არაზუსტი მცდელობის შემდეგ, ანგარიში მაინც მალე გახსნეს: დაცვაში არეულობით ჰენრიხ მხითარიანმა ისარგებლა და დორტმუნდელები დააწინაურა.

ამის მერე გააქტიურებულმა „არსენალმა" მხოლოდ ტაიმის ბოლოს მოახერხა წონასწორობის აღდგენა და ამაში ხელი ისევ დორტმუნდელებმა შეუწყვეს: ვაიდენფელერისა და სუბოტიჩის შეუთანხმებელი მოქმედებით ოლივიე ჟირუმ ისარგებლა.

მეორე ტაიმში კიდევ უფრო უდავო უპირატესობას ფლობდნენ მასპინძლები და ერთ მომენტში აშკარა გოლსაც გადარჩნენ სტუმრები, როდესაც კაზორლამ ბურთი ხარიხას მოარტყა, თუმცა გამარჯვება მაინც იურგენ კლოპის შეგირდებს დარჩათ.

გერმანელებმა მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირეს, გროსკროიტცის გრძელი პასის შემდეგ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ლევანდოვსკიმ საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 1:2.

**მარსელი-ნაპოლი 1:2**

0:1 კალეხონი (42), 0:2 ზაპატა (67), 1:2 აიუ (86)

მატჩი იმავე ანგარიშით და აქაც სტუმრების გამარჯვებით დასრულდა, რის შემდეგ ნათელი გახდა, რომ „მარსელი" არა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფლეი-ოფს, არამედ ევროპალიგასაც უნდა გამოემშვიდობოს, ამ ორი საგზურისთვის კი დანარჩენი სამი გუნდი ერთმანეთს „დაჭამს".

„ნაპოლიმ" კი ლამაზ სტილში და უდავო უპირატესობის ფონზე იმარჯვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| 2.არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| 3.ნაპოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| 4.მარსელი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

### ჯ ჯგუფი

**ავსტრია-ატლეტიკო 0:3**

0:1 რაულ გარსია (8), 0:2, 0:3 დიეგო კოშტა (20,53)

ჯგუფში ლიდერი კიდევ უფრო გამოიკვეთა და ეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავ ფორმაში მყოფი მადრიდის „ატლეტიკოა", რომელმაც ბრწყინვალე სტილში მოახერხა ვენის „აუსტრიას" დამარცხება.

მადრიდელებმა ფაქტობრივად გაინაღდეს პლეი ოფში თამაში.

**პორტო-ზენიტი 0:1**

0:1 კერჟაკოვი (86)

მასპინძელთა თამაშს დაღი უკვე მე-6 წუთზე ვიქტორ ჰერერას გაძევებამ დაუსვა, რომლის შემდეგაც მოიშალა პორტუგალიური გრანდი და მერე კერჟაკოვის გოლიც მიიღეს, რომლითაც მოიგეს კიდეც შეხვედრა პეტერბურგელებმა.

ამ მოგებით „ზენიტმა" საქმე გამოიკეთა და „აუსტრიასთან" დაკარგული ქულები აინაზღაურა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| 2.ზენიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 3.პორტო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 4.აუსტრია | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

### ჰ ჯგუფი

**მილანი-ბარსელონა 1:1**

1:0 რობინიო (9), 1:1 მესი (23)

ტურის კიდევ ერთი ცენტრალური შეხვედრა, სადაც უმეტესობა უფრო გახსნილ თამაშს მოელოდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა: ისე ჩანდა, რომ „მილანიც" და „ბარსელონაც" ფრეზე თანახმანი იყვნენ.

შეხვედრა უფრო აქტიურად „როსონერიმ" დაიწყო და მალევე გახსნეს ანგარიში: პიკესთან დიდი ბრძოლის შედეგად, რობინიომ ბურთი კაკას მიაწოდა, რომელმაც გამოზომილი, შესანიშნავი პასი გაუკეთა იმ უკანასკნელს და რობინიოსაც ისღა დარჩენოდა, ბურთი კარში გადაეგზავნა.

თუმცა ეს სიხარულიც მთლად დიდხანს აღარ გაგრძელებულა და მალევე მესიმ წონასწორობა აღადგინა.

აი, მეორე ნახევარში კი ღირებული აღარაფერი შექმნილა და რასაც ტაბლოზე ხედავთ, სრულებით ლოგიკური შედეგია.

**სელტიკი-აიაქსი 2:1**

1:0 ფორესტი (45პ), 2:0 კაიალი (54), 2:1 შონე (90)

გლაზგოს „სელტიკმა" კი შინ „აიაქსთან" პირველი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა ეს ძვირად დაუჯდა: იმ დროს, როცა ანგარიში 2:0 იყო, ნირ ბირტონი გააძევეს მოედნიდან, რასაც ამსტერდამელთა მხრიდან პრესტიჟის გოლი მოჰყვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| 2.მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| 3.სელტიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| 4.აიაქსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

# ზაზა ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა

ქართველმა ცენტრმა 6-თვიანი უქმობა დაასრულა და გუშინ, ნბა-ს წინასასეზონო მატჩში, „ჩიკაგო ბულსის" წინააღმდეგ ითამაშა. ამავდროულად, ქართველი ცენტრის „მილუოკიში" რედებიუტი შედგა. 2004 წლის შემდეგ ფაჩულიამ „ბაქსში" ისევ ითამაშა – 17 წუთში მან ჩიკაგოელებს 8 ქულა ჩაუგდო, ხოლო მატჩი „ჩიკაგომ" 105:84 მოიგო.

ფაჩულიამ 6 თვის წინ აქილევსის მყესზე ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ვერ დაეხმარა. ზაზა მთლი ზაფხულის განმავლობაში სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა და როგორც დაგეგმილი იყო, მოედანს 6 თვეში დაუბრუნდა. „ჩიკაგოსთან" მატჩში ფაჩულიამ 3-დან 2 ორქულიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 8 ქულა მოაგროვა და პლუს ამას 2 ფარიდან ასხლეტილ ბურთს დაეუფლა.

ცენტრის პოზიციაზე „მილუოკის" ძირითად შემადგენლობაში ლარი სანდერსმა ითამაშა, რომელმაც 26 წუთში 12 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

არსენალი-დორტმუნდუ ................ 1:2
მარსელი-ნაპოლი ...................... 1:2
მილანი-ბარსელონა ................... 1:1
სელტიკი-აიაქსი ........................ 2:1
აუსტრია-ატლეტიკო ................... 0:3
პორტუ-ზენიტი ........................... 0:1
შალკე-ჩელსი ............................. 0:3
სტიაუა-ბაზელი ........................... 1:1

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

კოლამბუსი-ნიუ ჯერსი ................ 4:1
აილენდერსი-ვანკუვერი ........ 4:5(ოტ)
ტორონტო-ანაჰაიმი ..................... 4:2
მონრეალი-ედმონტონი ................ 3:4
ფლორიდა-ჩიკაგო ................. 2:3(ოტ)
ვინიპეგი-ვაშინგტონი .......... 4:4(0:1ბ)
მინესოტა-ნეშვილი ..................... 2:0
ფინიქსი-კალგარი ....................... 4:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# რას წერს საერთაშორისო პრესა „კამიკაძე ლოჯიაზე“?

მისი ავტორია გიო სუმბაძე, მისი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ამ არქიტექტურული მინაშენების ტოპოლოგიის მკვლევარი, რომელთა მშენებლობა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, 1990-იან წლებში, საცხოვრებელი ფართის გაზრდის მიზნით დაიწყო. ტერმინი „კამიკაძე“ რუს ჟურნალისტს ეკუთვნის, რომელმაც იგი ამ ნაგებობებს შეარქვა და პარალელი გაავლო მათ რომანტიკულ-თვითმკვლელ ხასიათსა და ქართული გვარების დაბოლოება „ძე“-ს შორის. ქართული პავილიონის შიგნით, ბულიონის ჯგუფი, თეა ჯორჯაძე, ნიკოლოზ ლუტიძე, გელა პატაშური, ეი არაკავა, სერგეი ჩერეპნინი და გიო სუმბაძე, წარმოგვიდგენენ გამოფენას, რომლის კურატორი გახლავთ იოანა ვარშა. აქ წარმოდგენილია არაფორმალური არქიტექტურის ნიმუშები, რომლებიც ახდენენ სხვადასხვა არაფორმალური ფორმის, თავდაყირა კონსტრუქციების და ქართული ხელოვნებისა თუ არქიტექტურის თვითორგანიზების კონცეფციის დემონსტრირებას, — ამბობენ კულტურის სამინისტროში.

არც ბულიონის ჯგუფი და მისი პროექტი სუფრა დარჩენილა უცხოელი ჟურნალისტების ყურადღების მიღმა.

— ბრუტის საშემოდგომო თემატიკის პროექტ „ხმის ძალა“ ფარგლებში, არტისტთა ჯგუფმა ბულიონმა საზოგადოება სუფრასთან მიიწვია. სუფრაც ეს არის სადილისა და ნადიმის წარმოების ქართული ფორმა, რომელსაც უძღვება თამადა, ანუ სადღეგრძელოების უფროსი. თამადა სრულად ფლობს მაგიდასთან მსხდომთ და აკონტროლებს სუფრას სხვადასხვა სურვილების გაზიარებისა და ისტორიების მოყოლით, რომელთაც ხშირად ფილოსოფიური ხასიათი აქვს. მდიდრული სადილისა და პერფორმანსის კომბინაციით, ბულიონის ჯგუფი წარმოგვიდგენს ქართული ვერბალური და კულტურული ტრადიციის ამ უნიკალურ ფორმას და ამით მსუბუქად აკრიტიკებს ამჟამინდელ პოსტსაბჭოთა რეალობას. ასევე ახდენს იმის დემონსტრირებას, თუ როგორ გავლენას ახდენს ხმის ძალა პირადი სივრცისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი სფეროს ფორმირებასა და განსაზღვრაზე. სუფრა ასევე ნათელს ჰფენს მიკრო დონეზე არსებულ იერარქიულ სოციალურ წყობას, რომელშიც ხმის გამოყენება გადამწყვეტ როლს თამაშობს. ბრუტის შემოთავაზებით, ბულიონის ჯგუფი ახალ პროექტს ქმნის, რომელიც გულისხმობს თანამონაწილეობრივ სადილს და ვიდეო ინსტალაციებს. თბილისში ჯგუფი გადაიღებს ფილმს ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თამადის მონაწილეობით, რომელშიც იგი შეასრულებს სწორედ იმ ფუნქციას, რომელსაც ბრუტის სადილისას ასრულებდა ცერემონიალის ვირტუალური წამყვანი. მაგიდის თავში პროექტორით გაშვებული ვიდეო ჩანაწერი — თამადა, სუფრას გაუძღვება და დამსწრეებს საშუალებას მისცემს ჩაებან ამ უნიკალურ კულტურულ ღონისძიებაში. ვიდეოს მეშვეობით დაცული იქნება კრიტიკული დისტანციები და დამსწრეებს საშუალება ექნებათ გამოთქვან აზრი იმის შესახებ, თუ როგორ გაუძღვა თამადა საღამოს. წარმოდგენის დროს, იქვე იქნებიან მსახიობებიც, რომლებიც დაეხმარებიან დამსწრეებს სუფრასთან შემოერთებაში და აჩვენებენ, თუ როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა ტრადიციული სადღეგრძელოების თქმასა და სიმღერაში, — ასე აფასებენ ჯგუფს „ბულიონი“.

ბულიონის ჯგუფში გაერთიანებული არიან თეიმურაზ ქართლელიშვილი, ვლადიმერ ხარტიშვილი, ეკატერინე ქეცბაია, კონსტანტინე ქიტიაშვილი, ზურაბ კიკნაძე, ნატალია ვაწაძე.

— ბულიონის ჯგუფი ეს არის ხელოვანთა კოლექტივი, რომელიც 2008 წელს თბილისში დაარსდა. საქართველოში ბულიონი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ჯგუფს შორის, რომლებიც ფოკუსირებას ახდენენ საჯარო არა-სახელოვნებო სივრცეების გამოყენებაზე და სხვადასხვა სოციალური ნაგებობების შესწავლაზე. ჯგუფი დაინტერესებულია ისეთ სივრცეში მუშაობით, რომელსაც არ აქვს სახელოვნებო ან ხელოვნების პროდუქციის დატვირთვა და ასევე პირიქით, სახელოვნებო სივრცეში ისეთი აქტივობის წარმართვით, რომელსაც არ აქვს სახელოვნებო ხასიათი. დღემდე ბულიონის ჯგუფს საცხოვრებელი სივრცის მრავალი პროექტი განუხორციელებია, რომლებიც გულისხმობდა კერძო სივრცის არტისტული დანიშნულებით გამოყენებას, ასევე საჯარო ხელოვნების პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ქართული პოსტ-საბჭოური რეალობის კრიტიკას, — ამბობენ ჯგუფის წევრები.

მათივე თქმით, თავისი შემოქმედება ბულიონის ჯგუფს წარმოდგენილი აქვს პოლონეთში, სომხეთში, ჩეხეთში, გერმანიაში და ასევე ვენეციის 2013 წლის ბიენალეზე, სადაც წარმოადგენდა ქართული პავილიონის „კამიკაძე ლოჯიას“ ნაწილს, რომელსაც კურირებდა იოანა ვარშა. სუფრის სახით ჯგუფის წევრები თავიანთ ნამუშევარს პირველად წარადგენენ ავსტრიაში. სახელწოდება „ბულიონი“ კი ჯგუფმა აიღო ჟან ბოდრილარის „ბოროტის ტრანსპარანტულობიდან“, სადაც ავტორი საუბრობს ყველაფრის მომცველ მაგმაზე და კულტურულ, პოლიტიკურ და კომუნიკაციურ ბულიონზე, რომელიც ყველაფერს ყველაფერთან აერთიანებს. სწორედ ამ ეთიკას იზიარებენ თავად ჯგუფის წევრებიც.

დანიელა ამბროზიო ქართულ პავილიონთა დაკავშირებით წერს:

— საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაწყებული 90-იანი წლების ქაოსის შემდეგ, საქართველოს დედაქალაქ თბილისში, გაჩნდა „კამიკაძე ლოჯია“ საცხოვრებელ კორპუსებზე დამატებითი კონსტრუქციების მიშენება ფართის მომატების მიზნით. ეს კონსტრუქციები აშკარად უგულებელყოფდა მშენებლობის ყველანაირ წესს და ერთი შეხედვით წააგავდა შუა საუკუნეებში მთების ფერდობებსა და კლდეებზე მიშენებულ ხის საცხოვრებელ ნაგებობებს. არსენალეს პავილიონების დათვალიერებისას ვაწყდებით ხის კარკასს, რომელიც იქ არსებულ შენობაზეა მიშენებული. ბიენალეს გახსნის დღეებში, წვიმიანი ამინდის გამო, ხის კონსტრუქცია სულ ტალახშია ამოსვრილი. ეს უნიკალური პავილიონი ხელოვან გიო სუმბაძეს ეკუთვნის. სუმბაძე გახლავთ „ურბანული კვლევების ლაბორატორიის“ დამფუძნებელი. ხელოვანთა ეს კოლექტივი სწავლობს და ავლენს კავშირს საბჭოთა კავშირის ინფრასტრუქტურასა და მარქსისტული იდეოლოგიის უარყოფას შორის. ეს პარაზიტული არქიტექტურის ნიმუში, პოსტ-საბჭოთა ერის არასანქცირებული ბნელი წლების ემბლემა (ელექტრო ენერგიის დეფიციტის გამო, „ბნელი“ არა მარტო მეტაფორული, არამედ პირდაპირი გაგებითაც) და ურბანული დაგეგმარების „გააკეთე შენით“ მოდელი, ჩვენს თვალწინ აცოცხლებს როგორც წარსულს, ასევე მომავალს, როგორც კარგს (სახლის, თავშესაფრის იდეა), ასევე ცუდს (სიტყვა „კამიკაძე“ თვითმკვლელ ამფეთქებელს ნიშნავს). კურატორმა იოანა ვარშამ, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა და გადაუდებელი მოთხოვნილებების საკითხს, პროექტში ჩართო ბულიონის ჯგუფი, თეა ჯორჯაძე, ნიკოლოზ ლუტიძე გელა პატაშური, ეი არაკავა, სერგეი ჩერეპნინი და გიო სუმბაძე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან ერთად მოუყარა თავი არქიტექტურულ ელემენტებს, ინსტალაციებს, პერფორმანსს, პოეზიას და ბგერის ხელოვნებას, რათა შექმნილიყო საქართველოს რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების ამსახველი, წინასწარ გააზრებული, მრავალწახნაგოვანი პერსპექტივა. ეს მრავალფეროვნება კარგად არის წარმოდგენილი ბულიონის ჯგუფის მიერ, რომლის პერფორმანსი რელიგიური აერობიკა, გულისხმობს საქართველოში არსებული სამი მთავარი მონოთეისტური რელიგიის, ისლამის, ქრისტიანობის და იუდაიზმისათვის დამახასიათებელი ჟესტების აერობიკულ ვარჯიშებად გარდაქმნას და მათ მანტრასავით გამეორებას. აქ იგულისხმება სრულყოფილი ფორმებით შეპყრობილი ადამიანების ირონიული კრიტიკა და ასევე ხაზგასმით რელიგიური საქართველოს წარმოჩენა საბჭოთა პერიოდთან მიმართებაში, როდესაც რელიგია საერთოდაც ტაბუირებული იყო.

თეა ჯორჯაძე ვერ იტანს მარტოობას. ფოლადის, პოლიურეთანის ქაფისა და შუშის გამოყენებით, იგი ქმნის ინდივიდუალურ სამყაროს იმ სიტყვისათვის, რომელიც ჯერ არ გამოთქმულა. შედეგი ერთდროულად კონკრეტულიცაა და აბსტრაქტულიც, რადგან ის, რასაც ვხედავთ, არ არის უბრალოდ რკინის ჩარჩოები, შუშის ბოთლები და ქსოვილის ნაფლეთები, არამედ ამავე დროს არის ადგილები გაუხშოებული ატმოსფეროთი, ადგილები, რომელთაც სახელი არ გააჩნიათ. შემსრულებელი ნიკოლოზ ლუტიძე წარმოგვიდგენს ევრორემონტს, ნეოლოგიზმს, რომელიც გვთავაზობს ევროპულ მოდელზე დაფუძნებულ რესტრუქტურიზაციას. ეს არის ფოტო კოლაჟების, ქვითრების, ჩანაწერების და გამოთვლების ერთობლიობა, რომელიც გვიჩვენებს საბჭოთა სივრცის, ევროპულ და, შესაბამისად, დემოკრატიულ და თანამედროვე სივრცედ გადაქცევის პროექტს. გელა პატაშურს, ეი არაკავასა და სერგეი ჩერეპნინს უკვე ჰქონიათ ერთად მუშაობის გამოცდილება. სპეციალურად ამ შემთხვევისათვის მათ წარმოადგინეს მუსიკალური კომპოზიციის ინტერპრეტაცია, 277 მუსიკალური პოემის (დაწერილი პატაშურის მამის მიერ 1978-2003 (გარდაცვალების წელი) წლებში) გამოყენებით. ამ სივრცეში პოემა გადაიქცა რადიო სკულპტურების მიერ დაკრულ სიმღერებად, რომლებიც გვიყვებიან ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების შესახებ.

საქართველოს პავილიონი ასახავს მშენებლობისა და თვითნგრევის მოთხოვნილებას, სასიცოცხლო სივრცის ძიებას, ერთდროულად შექმნისა და დემონტაჟისათვის. შეპყრობას რაღაცით, რაც ახლოს არის, მაგრამ ამავე დროს ჯერ შორსაა, სადღაც კედლის მეორე მხარეს, დასავლეთშია. და ახლა, როდესაც ყველაფერი დასრულდა, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სტალინი არ მომკვდარა, მას უბრალოდ სძინავს.

იოანა ვარშა საქართველოს ხელოვნებისა და ურბანიზმის შესახებ ამბობს:

— „საქართველო გამარქსისტებულ იტალიას ჰგავს“. ქართველებს ხშირად გამოუყენებიათ ეს ჭკვიანური გამონათქვამი მათი პატარა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოს უცხოელებისათვის წარსადგენად, რომელთა უმრავლესობისათვის ქვეყანა ჯერ კიდევ თეთრ ლაქად რჩება კულტურულ და გეოპოლიტიკურ რუკაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამჟამად საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიის დასავლურ მოდელზე გადასვლის გზას ადგას, ეს ანალოგია მაინც არ არის აზრს მოკლებული, არა მარტო კლიმატის, მევენახეობის, პატრიარქალური რეჟიმის და დრამატული ლანდშაფტის გამო, არამედ ასევე ვოკალური და თვითმყოფადი მოსახლეობის საზოგადოებაზე ორიენტირებული აზროვნების გამოც. ეს პარადოქსული ნაზავი გახდა დამოუკიდებელი, ჰეტეროგენული და პოლიტიზირებული სახელოვნებო სცენის ჩამოყალიბების საფუძველი, რომელიც ხელახლა აღმოცენდა საბჭოთა კავშირის დაცემის შემდგომ.

მე დავიბადე და გავიზარდე პოლონეთში, სადაც აღმზარდეს იმ განცდით, თითქოს ჩემი ქვეყანა, ხატოვნად რომ ვთქვათ, უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობდა. პოლონეთი ყოველთვის ოცნებობდა დასავლეთზე. შესაბამისად იმისათვის, რომ საქართველოს დედაქალაქი — თბილისი ჩემი საკურატორო მუშაობის მთავარ ორიენტირად მექცია, საჭირო იყო გამეხედა სხვა მიმართულებით. ქალაქის სახელოვნებო სცენასთან შეხვედრამ, რომელმაც განაპირობა ჩემს მიერ ვენეციის 55-ე ბიენალეზე საქართველოს პავილიონის კურატორობა, საშუალება მომცა ყურადღება მიმექცია ქვეყნის მიერ მისი საბჭოური წარსულის მითვისების, ადგილობრივი არქიტექტურის როლისა და მისი ემანსიპატორული და პროგრესული პოტენციალისათვის, ასევე იმ საქმიანობისათვის, რომელიც ეფუძნება ხელოვნების და ურბანიზმის, რეგიონებისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ კონცეფციებს.

გიო სუმბაძე ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც გავიცანი საქართველოში. სუმბაძე არის ხელოვანთა ჯგუფის „ურბანული კვლევების ლაბორატორია“ დამაარსებელი. ეს ჯგუფი აწარმოებს მუდმივ-განახლებად არქივს, რომელშიც ფიქსირდება საბჭოთა ინფრასტრუქტურის გამოყენება და მისი კავშირი მარქსისტული იდეოლოგიის ეროზიასთან. „ურბანული კვლევების ლაბორატორია“ ასევე ადგენს თბილისის საცხოვრებელი სახლების მონაცემთა ბაზას, რომელიც ძირითადად მოიცავს მიკრორაიონებს (გარეუბნების თანამედროვე, დიდი მასშტაბის დასახლებები) და ასევე ამავე იდეოლოგიის ბაზისზე აგებულ სხვა შენობებს, როგორიცაა ნამგალი და უროს ფორმის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შენობა. სუმბაძისაგან შევიტყვე „კამიკაძე ლოჯიას“ — კუსტარული მიშენებების (ე.წ. „მიშენებული ლოჯიები“) შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა პერიოდის კორპუსებზე, თითოეულ ბინაში საცხოვრებელი ფართის მომატების მიზნით მიშენებულ ნაგებობებს. ეს მიშენებები გამოიყენება ტერასებად, დამატებით ოთახებად, ღია მაცივრებად ან სუმბაძის შემთხვევაში — სახელოვნებო სტუდიებად (კამიკაზე ლოჯიას ვერსიას სუმბაძე წარმოადგენს ვენეციის ბიენალეს პავილიონზე, სადაც იგი მიშენებული იქნება არსენალეს ერთ-ერთ შენობაზე). ეს იდიოსინკრეზული, ეშმაკურად მოფიქრებული სტრუქტურები წარმოადგენენ იმპროვიზაციის ნიმუშებს, რომლებიც ეფუძნება საბჭოთა დაგეგმარების ინფრასტრუქტურულ მემკვიდრეობას. საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმდიდრესი რესპუბლიკა იყო, მაგრამ ეს „ლოჯიები“ აშენებულია გაჭირვებულ 90-იანებში, რომელთაც ელექტროენერგიის ექსტრემალური შეზღუდვის გამო „ბნელი წლები“ ეწოდა.

ფანერითა და ჯართით შეკოწიწებული ეს სტრუქტურები წარმოადგენენ ფუფუნების პოსტ-საბჭოურ ვარიანტს. ალბათ არც ერთი სხვა ფორმა ასე არ ესადაგება მეოცე საუკუნის იდეოლოგიის მატერიალურ ნარჩენებს, რომლებიც კატაპულტირების ნაცვლად წარსულის უტოპიის ნანგრევებს ითვისებს და ამით ახდენს რეაგირებას თანამედროვე გარემოს რეალურ პირობებზე.

რატომ კამიკაძე? როგორც ამბობენ, ლოჯიებს ეს სახელი რუსმა ჟურნალისტმა უწოდა, მათი მშენებლობის რომანტიკული და თავზეხელაღებული ხასიათიდან გამომდინარე. ამით პარალელი გაავლო იაპონელ თვითმკვლელებსა და ქართული გვარების დაბოლოებებს (-ძე) შორის. თბილისელი არქიტექტორი და მკვლევარი ლევან ასაბაშვილი დამეხმარა გამეგო, რომ სინამდვილეში კამიკაძე ლოჯია სიახლე სულაც არ ყოფილა. პალიმფსესტის ხასიათის ნაგებობები საუკუნეების წინაც არსებობდა რეგიონში, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შუა საუკუნეებში, კავკასიის ციცაბო ფერდობებზე სახლები სწორედ უკვე არსებულზე დაშენებით იგებოდა, ისე, თითქოს ქვედა ფენები მშენებლობის ნებართვას წარმოადგენდა. გამოდის, რომ საქართველოში წარსულის განდიდების ნაცვლად, მასზე დაშენება ურჩევნიათ.

ასაბაშვილი კოლექტივის „ურბან რეაქტორ“ წამყვანი ფიგურაა, რომელიც იკვლევს სივრცის ათვისებას. სხვა საქმიანობასთან ერთად, ჯგუფი აკვირდება ურბანული საკითხების განვითარების კანონზომიერებას, ისტორიული ავანგარდიდან მოყოლებული, სტალინიზმის, გვიანი მოდერნიზმის და ბოლო ოცი წლის არეულობის ჩათვლით. ასევე იკვლევს ისეთ ფენომენებს, როგორიცაა ახლანდელი მთავრობის მიერ წარმოებული „გალამაზება“ და მისი თანმხლები „ფასადიზმი“. ეს ტერმინები აღნიშნავს საქართველოს ისტორიული ქალაქების, ხშირ შემთხვევაში ზედაპირულ, ზერელე აღდგენასა და განვითარებას. ამ ქალაქების რესტავრაცია რეალურად გულისხმობდა ნაგებობების ფასადების გასუფთავება-გაპრიალებას, მაშინ, როცა შიდა მხრიდან და ხალხის მიერ გამოყენებული ინფრასტრუქტურული ნაწილი, ძირითადად ხელუხლებელი რჩებოდა. ბაგრატის ტაძრის (ახლა უკვე იუნესკოს საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში მყოფი) რესტავრაცია და აფხაზეთის საზღვართან მდებარე ლაზიკის შენობების ფასადები, კარგი მაგალითია ამჟამინდელი მთავრობის ბოლო დროის პოლიტიკისა, რომელიც ქვეყანას დასავლური სტანდარტების მიბაძვით აშენებს. კამიკაზე-ლოჯიებისაგან განსხვავებით, რომელთაც მრავალნაირი გამოყენება შეიძლება მოუძებნოს ადამიანმა, მთავრობის მიერ დაფინანსებული ეს აღდგენითი სამუშაოები, ძირითადად მიზნად ისახავს ერთგვაროვანი გარეგანი ბრწყინვალების უზრუნველყოფას.

პირველად თბილისს 2008 წელს ვესტუმრე. მაშინ პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციის, „ფონდი — სხვა სივრცე“-ს მიერ ვიყავი მივლენილი ბეთლემში, ქალაქის შუა საუკუნეების დროინდელ ნაწილში, პროექტზე სამუშაოდ. აქ რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა იკომოს — ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზებით. შესაბამისად, ბეთლემი ალბათ თბილისის ერთადერთი ნაწილია, სადაც გალამაზება გასცდა ფასადიზმის საზღვრებს. თუმცა ამ უბანში მდებარე XVIII საუკუნის სომხურ ეკლესიებს და XIX საუკუნის ზოგიერთ სახლს მაინც დაემუქრა საფრთხე ახალი აღდგენა-განვითარების სახით. კვლევა გადაიზარდა სახალხო ხელოვნების პროექტად, რომელსაც ეწოდა „ბეთლემის მიკრო-რაიონი“ და რომელსაც მე ვუწევდი კურირებას 2009 წლის ოქტომბერში. ამ პროექტის ფარგლებში მრავალმა ხელოვანმა წარმოადგინა ისეთი ნაშრომები, რომლებიც მიესადაგებოდა როგორც კონკრეტულ ლოკაციას, ასევე ზოგადად ქართულ რეალობასაც. თბილისში მოღვაწე ბულიონის ჯგუფმა ნანგრევებად აქცია კარგად ნაშენები მე-19 საუკუნის ბურჟუაზიული ბინა (პროექტი სახელწოდებით „ბინა №4“), რითიც ფაქტიურად გამოამჟღავნეს კონსერვაციისა და თანამონაწილეობითი ხელოვნების პოლიტიკებს შორის არსებული დაძაბულობა. საკმაოდ რთული სამუშაოს შემდეგ, ადგილი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც საფრთხეში მყოფი ძველი თბილისის ნებისმიერი სხვა მიტოვებული შენობა. იქვე ახლოს ბულიონის ჯგუფმა დაბადების დღის აღსანიშნავი სადილი გამართა (თავად ასეთ ღონისძიებას „სუფრა“ ეწოდება), რომელიც ეძღვნებოდა 1958 წელს, ძველი თბილისის თავზე აღმართულ მონუმენტს — ქართლის დედას. მრავალი ქართველი საკმაოდ გაუცხოებულია ამ ზედმეტად პროპაგანდული ძეგლის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში უკვე შეეგუენ კიდევაც ამას. სადილის დროს, სუფრის ხელოვანმა და ინტელექტუალმა საზოგადოებამ ქანდაკება განიხილა უცნაური, გენდერული და პოსტჰუმანური პერსპექტივიდან, რამაც საშუალება მოგვცა იგი დაგვენახა თანამედროვეობის ჭრილში და არა მხოლოდ, როგორც საბჭოთა გადმონაშთი.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტექსტიდან სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ნაწყვეტი; 2. კერძო მეწარმე სოფლად; 3. პირველი მაჯის საათის შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 4. მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის იტალიური ენციკლოპედიის სახელწოდება; 8. იტალიელი კინომსახიობი, მომღერალი მამაკაცი; 9. სითხის ან აირის წნევის საზომი ხელსაწყო; 11. პატარა თევზსაჭერი გემი; 12. შოტლანდიური ნაგაზი; 14. მდინარე ფლორენციაში; 16. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 19. ფულის ერთეული ერაყში; 20. ფორთოხლისგან დამზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად:** 5. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 6. ძველებური ხელის სატყორცნი იარაღი; 7. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 10. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბავარია“-ს ფეხბურთელი; 13. ოქროს მოპოვებისა და დამუშავების ცენტრი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 15. უმოტორო თვითმფრინავი; 18. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 20. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. აჭარული ცეკვა; 23. მეხორცული ჯიშის ქათამი; 24. კოსმოდრომი იაპონიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ყორე; 2. ჩალმა; 3. ტრიუკი; 5. კროსი; 6. დიფუზორი; 8. ბუნდესვერი; 10. ოტიატრი; 12. ტანდემი; 14. ოკრიბა; 15. შაპიტო; 16. ლიანა.

**თარაზულად**: 1. ყაყაჩო; 4. აკოლადა; 7. შულერი; 9. კუბიცა; 11. კნესეტი; 12. ტალავარი; 13. ხამონი; 17. ალკალა; 18. რაჭა; 19. ხმელნიცკი; 20. დინამიტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. დაგერი; 2. „მალბორო“; 3. ფოტოლიზი; 4. სტაჟიორი; 8. „კურვუაზიე“; 9. სინტოიზმი; 11. მირიანი; 12. დალი; 14. ერგი; 16. პლასტიკა; 17. კარტინგი; 19. ქლიავი; 21. მოცვი.

**თარაზულად**: 5. ფორსინგი; 6. ელინისტი; 7. „ბარსელონა“; 10. ფირუზი; 13. კონერი; 15. ფლაიერი; 18. პლაზმა; 20. იუმორი; 22. პრიმატორი; 23. მკათათვე; 24. კვადრიგა.

# ამერიკის დაზვერვის შეფი საფრანგეთში სატელეფონო მოსმენებს სიცრუეს უწოდებს



ამერიკის ეროვნული დაზვერვის დირექტორის ჯეიმს კლეპერის განცხადებით, ფრანგულ გამოცემაში გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 30 დღის განმავლობაში ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო საფრანგეთში მილიონობით საუბარს იწერდა, სიმართლეს არ შეესაბამება.

კლეპერის ოფისის მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარია: „ე ონდე-ში გამოქვეყნებული სტატია ამერიკის დაზვერვის მოქმედებების შესახებ ცრუ ინფორმაციას შეიცავს".

ცოტა ხნის წინ ერთმანეთს ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორენ ფაბიუსი შეხვდნენ. ფრანგმა დიპლომატმა შეხვედრისას ამ პრაქტიკას მიუღებელი უწოდა. როგორც ცნობილია, ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამა მის ფრანგ კოლეგა ფრანსუა ოლანდსაც დაურეკა.

გავრცელებული ინფორმაციით, ოლანდმა „დიდი უკმაყოფილება" გამოხატა აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით და ობამასაგან ახსნა-განმარტება მოითხოვა.

ოლანდის თქმით: „მსგავსი პრაქტიკა მეგობრებს შორის დაუშვებელია და ეს საფრანგეთის მოქალაქეების პირად ცხოვრებაში ჩარევას ნიშნავს".

თეთრი სახლის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარია, რომ ობამამ ფრანგ კოლეგას შეპირდა, რომ: „ამერიკა ინფორმაციის შესაგროვებლად ამერიკელი სპეცსამსახურების მიერ გამოყენებული მეთოდების გადახედვას დაიწყებდა".

„ლე მონდის" დოკუმენტები ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა 30 წლის ედვარდ სნოუდენმა მიაწოდა. შეგახსენებთ, რომ აგვისტოში სნოუდენს დროებითი თავშესაფარი რუსეთმა მიანიჭა.

# მედვედევის პრესმდივანმა ინფორმაცია ონიშენკოს გადადგომის შესახებ უარყო



„როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელის გენადი ონიშენკოს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია რუსეთის ვიცე-პრემიერმა ანა პოპოვამ გაავრცელა, იუწყება სააგენტო რია.რუ.

თუმცა, „ონიშენკოს გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ გაცემულა, გადაწყვეტილება, დარჩება თუ არა ის უწყების ხელმძღვანელად, თუ ამ პოსტს სხვა დაიკავებს, – რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინიტრის დიმიტრი მედვედევის კომპეტენციაში შედის", – ამბობს რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელის პრეს-მდივანი ნატალია ტიმაკოვა.

„ონიშენკოს დათხოვნის შესახებ ბრძანებაზე ხელი არ მოწერილა. ასეთი დოკუმენტი არ არსებობს", – დასძინა ტიმაკოვამ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ევროკომისიის ხელმძღვანელს ყველა ბალკანური ქვეყნის და თურქეთის ევროკავშირში მიღება სურს



ევროკომისიის თავმჯდომარემ – ხოსე მანუელ ბაროზომ ევროკავშირში ყველა ბალკანური ქვეყნის მიღებაზე გამოთქვა აზრი.

„თუ ბალკანეთის ქვეყნები შეასრულებენ პირობებს და კრიტერიუმებს, გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ მათ მივიღებთ", – განაცხადა ბაროზომ გერმანულ გაზეთ „ბილდთან" ინტერვიუში. მისი თქმით, ევროკავშირის წევრობა შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან ფაქტორად რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობისათვის.

გარდა ამისა „ევროკავშირის კარი კვლავინდებურად ღია უნდა იყოს თურქეთისთვის", – ამბობს ბაროზო. გაერთიანებაში მისაღებად ამ ქვეყანამ ყველა წინაპირობა უნდა შეასრულოს, აგრეთვე მის წევრობას კავშირის ყველა წევრი უნდა დაეთანხმოს, რაც „გარკვეულ დროს" მოითხოვს, აღნიშნა ევროკომისიის მეთაურმა. თურქეთი „ეკონომიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქვეყანაა", ევროკავშირი ამ ქვეყანაში რეფორმების გატარებით დაინტერესებულია, – დასძინა ბაროზომ.

თურქეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით აღდგა მოლაპარაკებები, რაც სამ წელზე მეტია შეწყვეტილი იყო. უკვე 5 ნოემბერს, ევროკავშირისა და თურქეთის წარმომადგენლები რეგიონული განვითარების პოლიტიკის შესახებ მოლაპარაკებებს დაიწყებენ.

„სამწლიანი პაუზის შემდეგ ევროკავშირსა და თურქეთის შორის მოლაპარაკებები მალე განახლდება და მე სწრაფი და მტკიცე პროგრესის იმედი მაქვს",-ამის შესახებ სამშაბათს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ანტანას ლინკევიჩიუსმა განაცხადა.

დიპლომატის თქმით, სამ წელზე მეტხანს მოლაპარკებების განახლება იმის გამო გაჭიანურდა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უთანხმოება არსებობდა.

„ობსერვერის" ცნობით, ევროკავშირის წევრი ქვეყნები უკვე შეთანხმდნენ, რომ თურქეთთან მოლაპარაკებები 5 ნოემბრისათვის განახლდება. თავდაპირველად მოლაპარაკებების განახლება 2013 წლის ივნისში იგეგმებოდა, თუმცა აღნიშნულს ხელი თურქეთში ფართომასშტაბიანმა გამოსვლებმა შეუშალა.

ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები 2005 წელს დაიწყო, მიუხედავად იმისა რომ ამ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი ჯერ კიდევ 1999 წელს მიიღო.

# ბაშარ ასადი 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს



სირიის პრეზიდენტის განცხადებით, ჟენევის სამშვიდობო კომისიის ჩასატარებლად საჭირო პირობები არ არის შექმნილი, ისევე, როგორც ამ დრომდე არ არის განსაზღვრული კონფერენციის თარიღი.

ეს განცხადება ბაშარ ალ ასადმა ლიბანურ ტელეკომპანია „ალ მაიატისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

ბაშარ ასადმა ეჭვი გამოთქვა, რომ სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილე მხარეები ნამდვილად იქნებიან სირიელი ხალხის წარმომადგენლები. მისი თქმით, კონფერენციაზე მიწვეული პირები, უცხოურ ძალებს უფრო წარმოადგენენ ვიდრე სირიელ ხალხს.

„ვინ არიან ჟენევის კონფერენციის მონაწილე მხარეები, რა ურთიერთობები აკავშირებთ მათ სირიელ ხალხთან, ეს ის ძალებია, რომლებიც სირიელი ხალხის ნებას გამოხატავენ? ამ კონფერენციის ჩატარება ძალიან ბევრ კითხვას აჩენს და ასევე ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება. პასუხგაუცემელია ეს კითხვა, თუ რას ემსახურება ამ კონფერენციის სტრუქტურა", – განაცხადა ასადმა.

შეგახსენებთ, რომ ჟენევის კონფერენციის ჩატარების ინიციატივა რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის. დასავლეთი და არაბული ქვეყნები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული მოლაპარაკებებით სირიაში ხელისუფლების ჩანაცვლება მოხდება. თუმცა, როგორც ასადმა ინტერვიუში განაცხადა, მან შესაძლოა 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

ამ ფონზე, უილიამ ჰეიგი სირიის ოპოზიციას სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობისკენ მოუწოდებს. სამშაბათს ლონდონში 11 ქვეყნის დიპლომატი სირიის ოპოზიციის იმ წარმომადგენლებს ხვდება, რომლებიც მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში პრეზიდენტ ბაშალ ალ ასადის მონაწილეობას ეწინააღმდეგებიან.

# სამგლოვიარო განცხადებები

## მონატრება

...და ჰა, გასრულდა ორმოცი დღე უშენოდ. ამიერიდან ზეციურ საქართველოს შეუერთდი სამარადჟამოდ. ყველას გვენატრები, ჩემო ირინე, ბაგრატოვანთა ჩინებულო, კეთილაღნაგო და ქმნულკეთილო ასულო!

ბრძენს უთქვამს: ღმერთმა ადამიანი მისთვის გააჩინა, სიკვდილის რა გზა აირჩიოსო. შენ კი, ბაგრატიონთა დიდებული გვარის წარმომადგენელმა, წინაპართა ღირსეულმა შთამომავალმა, გივი ბაგრატიონის ასულმა სიკვდილის ეს გზა აირჩიე, გზა ღვთის მოშიშობისა, ღრმად სულიერებისა, ადამიანთა მოდგმის სიყვარულისა, ჰუმანურობისა და სიკეთის ქმნისა. სწორედ ამიტომ, როგორც დიდი ქართველი პოეტი ამბობს, „შენნი სულნი ზეცას რბიან" – ზეციური საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ სამუდამოდ ქრისტე ღმერთის საუფლოში დაგასახლა, ალბათ, იქიდან უფრო კარგად ჩანს კაცობრიობის განვლილი გზა, საქართველოსა და ქართველების დიდებული წარსული, ბაგრატიონთა დამსახურება და მსახურება ერისა და დედაეკლესიის წინაშე, ცამეტსაუკუნოვანი დინასტიის ზეობა. სიცოცხლეშივე, ახალგაზრდობიდან როგორც გამორჩეული სპორტსმენი – კალათბურთელი, უწმინდესსა და უნეტარესთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან ახლოს მყოფი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ მომლოცველთა (პილიგრიმთა) საზოგადოების წევრი ერთგულად ემსახურე სამშობლოს. რამდენი აღგიზრდია ქრისტესმიერი ცხოვრების ჭეშმარიტ მსახურად, ხელი და გული გაგიწვდია გაჭირვებულთათვის. სწორედ ამიტომ დაგვაკლდი ყველას, შენ ხომ ის პიროვნება ხარ, როგორც თბილისზე შეყვარებული ქართველი პოეტი ამბობს – „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს". მე კი ვიტყოდი: არა მარტო ქალაქს, არამედ საქრისტიანოს, სრულიად საქართველოს დააკლდი, ჩემო ირინე.

უშენოდ ცხოვრება ძალიან ძნელია.

უფალს შევსთხოვ, შენნაირები ბაგრატიონთა სახელოვან გვარში, მთელს საქართველოში ბევრი გაეჩინოს და ეღვაწოს საქართველოსა და ქართველთა უკვდავსაყოფად.

გეთხოვებით და ქედს ვიხრით შენ წინაშე აქა სოფელსა შინა შთენილნი – უშენობით, შენი უდროოდ წასვლით გულშეძრული და გულდაწყვეტილი ჭირისუფალნი – სამეგობრო, ქრისტესმიერი დები და ძმები... მთელი საბაგრატიონო, შენი ოჯახი და სანათესაო მოგიგონებთ, როგორც ჭეშმარიტ მრევლსა და დიდებულ მამულიშვილს.

ნეტარ არიან ქრისტეს მოყვარულნი და ქვეყნის ერთგულად მსახურნი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩემო ირინე, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

**მუდამ შენზე მოფიქრალი მეუღლე ევგენი ბარათაშვილი**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## თემურ ალექსანდრეს ძე ნინუა



... კიდევ ერთი სოხუმელი კაცი, კიდევ ერთი დიდი ხელოვანი, მხატვარი და მეგობარი წავიდა ამ ქვეყნიდან... თემურ ნინუა გარდაიცვალა...

თემური სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის განუყოფელი ნაწილი იყო და მარად დარჩება თეატრის ისტორიაში, როგორც თეატრის „ოქროს ხანის" ერთ-ერთი შემოქმედი. მის მიერ გაფორმებული სპექტაკლები სოხუმში და მერე უკვე თბილისში თეატრის მთავარი მხატვრის რანგში უდიდეს აღტაცებას იწვევდა მაყურებელში. მისი გამორჩეული ხელწერა, თავისებური მანერა და სტილი, სივრცის აღქმა და ფერთა გამა, განსაკუთრებით კი დეტალების წარმოჩენის უნარი, რომელშიც ყოველთვის იგრძნობოდა ნოსტალგია ზღვისა და პალმებისადმი, ძალიან დიდი შემოქმედებითი სტიმული იყო მის გვერდით მოღვაწე ხელოვანთათვის.

ნიშანდობლივია ისიც, რომ თემურის დაწყებულ საქმეს სოხუმის თეატრში დიდი წარმატებით აგრძელებს მისი ქალიშვილი, მხატვარი ანა ნინუა.

... ძალიან გვიჭირს თემურთან განშორება, მაგრამ გვწამს და ვიცით, რომ ისეთი ადამიანები, როგორც ჩვენი თემური იყო, აუცილებლად დაიმკვიდრებენ ღირსეულ ადგილს სასუფეველში.

... ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული, ჩემო თემურ.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელით,

**დიმა ჯაიანი**

---

კომპანია „მექანიზატორის" ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილის დათო ფარცვანიას მამის

**იოსებ ფარცვანიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრომექანიკის მიმართულების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

**გიორგი ტაბატაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა: 24 ოქტომბერს, 14 საათზე.
მისამართი: წერეთლის გამზირი, 12ა.

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 24 ოქტომბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**პროფესიონალი" პროფესიონალებს შორის**" (ჟან-პოლ ბელმონდო) **17.00** დ/ფ "სამხედრი საზღვაო შეიარაღება" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** "უცნობი მუსიკა" **00.20** მხ/დოკ/ფ "**პაჯი მურატი – ფილმი" რომელიც არ დაიდგა**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "სან-ფრანცისკო" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ. **14.40, 15.05** კაცების შოუ **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" (გ/ჩ) **01.00** მხ/ფ "**ფლამანდიური დაფა**" (ჯ.ვუდი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) **00.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**". **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

**ერთსულოვნება 06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** ნიამორი **07.05** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი" **11.20, 14.45** ფოტოგალერეა **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ალყა**" **13.25** ქართული მულტფილმი **13.55** დოკ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი -ანს. "ერისიონი" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**სინემა**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** დოკ/ფ "მტკიცედ და ერთად" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ზღვარზე" გად. II **23.40** ჩვენი ფონდი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გლახის ნაამბობი**"

**მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა". 12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ). **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.).

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6635

ევრო — 2,2788

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6853

100 რუსული რუბლი — 5,2135

## ამინდის პროგნოზი 24 ოქტომბრისთვის





## მალე!
## ქართული დეტექტივი
## ტომი 3
## იორამ ჩადუნელი
## საზღაური
### უკვე გამოსულია
ტომი 1 ............ მგლის ბილიკი
ტომი 2 ............ შავი ვარდი




სს „თიბისი ბანკი“
ა/ნ: GE38 TB76 6654 5161 6000 02
დარეკეთ: 09 01 70 00 56

დღეს ყველანი გვჭირდებით!

გადავარჩინოთ მაია მიქაუტაძეს სიცოცხლე!

კუნძულ უტოიაზე მოკლული ლიპარტელიანების ოჯახი დახმარებას ითხოვს – 100.000 დოლარი სიცოცხლის გადასარჩენად!

25 წლის მაია მიქაუტაძეს დაუდგინდა მწვავე ლეიკემია, რის გამოც ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია – ძვლის ტვინის გადანერგვა. ოპერაციის ჩატარების სირთულიდან გამომდინარე, საქართველოში მისი გაკეთება შეუძლებელია. მაიას ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს თურქეთში, რაც, სამწუხაროდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ოპერაციის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100.000$, რომლის მოგროვების საშუალებაც ოჯახს დამოუკიდებლად არ გააჩნია.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აღმოუჩინოთ მაიას ნებისმიერი სახის დახმარება და ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტალღებისგან დამცავი გრძელი ჯებირის ნავსადგურში; 2. საინფორმაციო საშუალება; 3. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე; 5. მუზეუმი მადრიდში; 6. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 8. გერმანიის არმიის სახელწოდება; 10. თავხედური გულახდილობა; 12. ფრანგული ბულდოგი; 14. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 15. ქართველი დირიჟორი; 16. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა.

**თარაზულად:** 1. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 4. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 7. შემაგრებული პორტუგალიური ღვინო; 9. კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობი ოპერეტებსა და ვოდევილებში; 11. ზღვისპირა კურორტი ზუგდიდის რაიონში; 12. ქართული ხალხური ცეკვა; 13. ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 17. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 18. რევაზ ლაღიძის ოპერა; 19. გონიოს ძველბერძნული სახელწოდება; 20. ტურისტთა მეგზური, გიდი იტალიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ ვარშავის კინოფესტივალის გამარჯვებულია

ეკა ირემაშვილი

**ქართველი რეჟისორის ზაზა ურუშაძის ახალი ფილმი „მანდარინები“, რომელიც ქართულ-ესტონური კოპროდუქციაა, ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესოდ აღიარეს. ქართული ფილმი „ა კლასის“ ფესტივალზე მოხვდა და მიიღო პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის და ასევე აუდიტორიის ჯილდოც დაიმსახურა. კინოფესტივალის ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი ვარშავაში 20 ოქტომბერს შედგა.**




ფილმის პრემიერა თბილისში 17 ოქტომბერს გაიმართა და ის მაყურებელმა დადებითად შეაფასა. „მანდარინებმა“ შარშან საქართველოს კინოცენტრისა და „ევრიმაჟის“ – ევროპის საბჭოს კინოს განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვა.

ფილმში მოქმედება აფხაზეთში, ომის დროს ვითარდება. სხვადასხვა ეროვნების, რელიგიური შეხედულებებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს მდგომი ადამიანები, ფაქტობრივად, მტრები – ერთმანეთს დაუმეგობრდებიან. ისინი თანდათან ხვდებიან, რომ ერთმანეთთან სამტრო არაფერი აქვთ.

ჟიურის დახასიათებით, „ფილმის რეჟისორმა შეძლო, რომ მოეთხრო უბრალო, მაგრამ შთამბეჭდავი ისტორია იმგვარად, რომ შეექმნა თბილი, სათუთი, ტკბილი და მწარე სამყარო“.

ფილმის ქართულ პრემიერასთან დაკავშირებით, საქართველოში ესტონეთის დელეგაცია ჩამოვიდა, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ მიიღო. ესტონეთის კულტურის წარმომადგენლობითი დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პრიტ ტურკი, „მანდარინების“ გადამღები ჯგუფის წევრები, მსახიობები, ესტონეთის ინსტიტუტის, იგივე ესტონეთის კინოცენტრის წარმომადგენლები, ბიზნესმენები და ესტონეთის კულტურის აკადემიის დირექტორი ანზორ ბარკალაია. მიღებას ასევე დაესწრნენ ეროვნული კინოცენტრის, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისა და საქართველოში ესტონეთის საელჩოს წარმომადგენლები.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინეს ესტონეთ-საქართველოს პირველი ერთობლივი სრულმეტრაჟიანი ფილმი „მანდარინები“. ფილმი აფხაზეთში მცხოვრები ესტონელის ოჯახში მოხვედრილი დაჭრილი ქართველისა და ჩეჩენი ჯარისკაცის ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს. ფილმზე მუშაობდნენ სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ზაზა ურუშაძე, ოპერატორი რეინ კოტოვი, დამდგმელი მხატვარი თეა თელია, კოსტიუმების მხატვარი სიმონ მაჩაბელი, კომპოზიტორი ნიაზ დიასამიძე, მონტაჟი ალექსანდრე კურანოვი, ხმის რეჟისორი ჰარმო კლასტე, ივო ფელტი, პროდიუსერები ივო ფელტი, ზაზა ურუშაძე. ფილმში მონაწილეობენ ლემბიტ ულფსაკი, ელმო ნიუგანენი, გიორგი ნაკაშიძე, მიხეილ მესხი, რაივო ტრასსი, ზურა ბეგალიშვილი.

ფილმის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ეროვნული კინოცენტრი, ევროპის საბჭოს კინოს განვითარების და მხარდაჭერის ფონდი ევრიმაჟი, ესტონეთის ეროვნული კინოცენტრი, ესტონეთის კინოს ფონდი და ესტონეთის კულტურის სამინისტრო.

ფილმის „მანდარინები“ ნახვა უკვე საქართველოს ყველა კინოთეატრშია შესაძლებელი, ესტონეთში კი ფილმის პრემიერა 31 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

# მერაბ ჟორდანიამ ჰოლანდიური საფეხბურთო კლუბი არნემის „ვიტესი“ გაყიდა



არნემული კლუბის ვებგვერდის ცნობით, მან კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტი ალექსანდრე ჩიგრინსკის მიჰყიდა, რომელიც ლონდონის „ჩელსის“ მეპატრონის რომან აბრამოვიჩის მეგობარი და ბიზნეს-პარტნიორია.

გეტყვით, რომ ჟორდანიამ „ვიტესი“ 2010 წელს შეიძინა.

მერაბ ჟორდანია:

– როდესაც „ვიტესის“ აქციები შევიძინე, მაშინ განვაცხადე, რომ ალექსანდრე ჩიგრინსკი მხარს მიჭერდა. საჭირო იყო აუცილებელი ზომების მიღება კლუბის უფრო წარმატებული მომავლისთვის. ჩემი აზრით, კლუბის მისთვის გადაცემის კარგი დრო შევარჩიეთ. მომავალშიც ალექსანდრს რჩევებით დავეხმარები.

ალექსანდრე ჩიგრინსკი:

– მსურს მერაბს მადლობა გადავუხადო ბოლო სამ წელიწადში მის მიერ გაწეული მუშაობისთვის. აუცილებელი ინვესტიციების შემდეგ, ამჟამად, „ვიტესში“ სპორტული და ორგანიზაციული კუთხით საუცხოო ვითარებაა. მერაბმა ნიჭიერი გუნდი ჩამოაყალიბა. კლუბში მაღალკვალიფიციური ტექნიკური პერსონალი მუშაობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია „ვიტესი“ კიდევ უფრო წინ წავწიოთ, რომ ჰოლანდიურ ფეხბურთში ერთ-ერთი წამყვანი კლუბი გახდეს. ვიცი, რომ მერაბის იმედი შემიძლია ყოველთვის მქონდეს.

შეგახსენებთ რომ, „ვიტესში“ 3 ქართველი ფეხბურთელი ირიცხება – საქართველოს ნაკრების წევრი გურამ კაშია და ახალგაზრდული ნარების ფეხბურთელები – გიორგი ჭანტურია და ვაკო ყაზაიშვილი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# რას წერს საერთაშორისო პრესა „კამიკაძე ლოჯიაზე“?

მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის 55-ე ბიენალე ჯერ არ დასრულებულა, საქართველოს პავილიონი „კამიკაძე ლოჯია“ საერთაშორისო პრესაში უკვე დაახლოებით 200-ჯერ იქნა მოხსენიებული, ხოლო მსოფლიოს წამყვან სახელოვნებო პრესაში გამოქვეყნებული 75-მდე მნიშვნელოვანი სტატია საგანგებოდ საქართველოს პავილიონს ეძღვნება.

როგორც კულტურის სამინისტროში ამბობენ, საერთაშორისო მედიის ასეთი გამოხმაურება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს საინტერესო შემოქმედებითი კუთხით წარმოჩენას და ქართული კულტურის ქვეყნის ფარგლებს გარეთ პოპულარიზაციას. სწორედ ვენეციაში, ბიენალეზე მიღებული შემოთავაზების შედეგად ჯგუფმა „ბულიონი“ მიწვევა მიიღო ვენის თეატრიდან და ქართველმა ხელოვანებმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, რამდენიმე დღის წინ ავსტრიის დედაქალაქში წარმოადგინეს პერფორმანსი „სუფრა“. პრემიერას უკვე მოჰყვა დიდი გამოხმაურება და შეთავაზებები ევროპიდან.

ვენეციის ანგარიში: არსენალეს ხუთი პავილიონი, რომელსაც შეუმჩნევლად გვერდს ვერ ჩაუვლი. „თუ თქვენ უკვე ნახეთ მასიმილიანო ჯიონის „ენციკლოპედიური სასახლე“, მაგრამ მაინც გაქვთ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, არსენალეზე წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნაციონალური პავილიონები იმედს არ გაგიწბილებენ. არსენალე უკან იტოვებს ჯარდინის ევროცენტრიზმს და გვთავაზობს შედარებით პატარა, საწყობის მაგვარ სივრცეებს, რომლებიც უფრო სტუდიებს მოგვაგონებენ და არა თეთრ კუბს.

სწორედ იმ მომენტში, როდესაც გგონიათ, რომ არსენალეზე წარმოდგენილი ხელოვნების ყველა ნიმუში იხილეთ, თქვენ წინ გამოჩნდება ქართული პავილიონი. მისი კურატორი გახლავთ იოანა ვარშა. ეს არის XII საუკუნის ვენეციურ ნაგებობაზე თითქოს და შემთხვევით მიშენებული გაგრძელება. ნაგებობის სახელწოდება, „კამიკაძე ლოჯია“, ასახავს შენობებზე ულიცენზიო მიშენებებს, რომლებიც აქტიურად სრულდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში. კონსტრუქციის შიგნით, ბულიონის ჯგუფი, თეა ჯორჯაძე, ნიკოლოზ ლუტიძე, გელა პატაშური, ეი არაკავა, სერგეი ჩერეპნინი და გიო სუმბაძე წარმოგვიდგენენ არაფორმალური არქიტექტურის ნიმუშებს, რომლებიც ახდენენ საზოგადოების მიერ ნაგებობების ფიზიკური ნგრევის მცდელობის დემონსტრირებას.

– ვენეციის ხელოვნების 2013 წლის ბიენალეზე, საქართველოს პავილიონი წარმოადგენს არსენალეს ნაწილში არსებული ძველი შენობის გაგრძელებას. ნაგებობას ეწოდება „კამიკაძე ლოჯია“.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 24 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ, მოემზადეთ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემას მოევლება. **ტყუპები** – არ მოდუნდეთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – დიდი გამარჯვება გელოდებათ! **ქალწული** – მოაწყვეთ დღესასწაული, გაერთეთ მეგობრებთან. **სასწორი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა კარგია, სწორედ რომ დროულია. **თხის რქა** – დიდი წარმატება გელოდებათ, მთავარია არ შეჩერდეთ. **მერწყული** – დაფიქრდით და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **თევზები** – ახალი პროექტი გაამართლებს, შემდეგ სხვა საქმეს შემოგთავაზებენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი